ნუგზარ ერგემლიძე

მ ე ც ხ რ ე ს ა ფ ე ხ უ რ ი

{ამავე ავტორის რომანის "ისევ ს.ს.რ.კ–ში"–ს მიხედვით}

რედაქციის ოფისი. კედელზე გამოჩენილ ადამიანთა სურათები.მიმდინარეობს თათბირი.

კახა {რედაქტორი}

კარგი! ეს ყველაფერი გასაგებია:პოლიტიკა,ეკონომიკა,ინტერვიუები...კულტურის სფეროდან რა გვაქვს?

თეა{ჟურნალისტი}

მაინცდამაინც სარეიტინგო ვერაფერი გვაქვს,მაგრამ გავაკეთებთ რომელიმე კონცერტის მიმოხილვას, ან თეატრს ვეწვევით...

კახა

ჩვენ გვჭირდება ისეთი მასალა, რომელიც არა მხოლოდ დააინტერესებს,არამედ გააოცებს მკითხველს!–ინტრიგა!აი რა სჭირდება გაზეთს!

თეა

ერთიდაიგივე რესპოდენტები ამოვიდა ყელში!

კახა

იცით, რაშია საქმე? ხალხში არ დადიხართ,არ ეძებთ!ზოგჯერ თქვენ უნდა გაუკეთოთ რომელიმე თემას პროვოცირება:ესა და ეს ფილმი არ ვარგა, ,,დისკი ან წიგნი,სულერთია.

ნინო{ჟურნალისტი}

მაგასაც ვაკეთებთ,მაგრამ,ესეც მობეზრდა ხალხს,პოლიტიკაში კი ხდება ეგეთი რაღაცეები; იქ ნოღაიდელი პუტინს შეხვდა,ვიღაცამ ფული აიღო,მაგრამ კულტუ-

~რაში ყველაზე მძაფრი თემა დაახლოებით ასეთია:ლექსენი ამხელს სტიოპას და კახუჩელას! ესეც ყველას მობეზრდა!

თედო{ ჟურნალისტი]

იცით, რა? გუშინ ხვიჩიების ოჯახში ვქეიფობდი...

კახა[იცინის]

გეტყობა!

თედო

ჰო, ცოტა მეტი მომივიდა...იქ ითქვა, რომ თბილისში იმყოფება ირაკლი ჩიქოვანი, რომელიც '"ბითლზის"კონსულტანტი ყოფილა.მუსიკალური ჟურნალიც მაჩვენეს 1964 წელს გადაღებული ფოტოთი;"ორერა'" ჯონ ლენონთან და ირაკლი ჩიქოვანთან ერთად!

კახა

აი, თემა! ჯერ გამოჰკითხეთ თუ როგორ შედგა მათი შეხვედრა და მერე აზრი გამოთქვას თანამედროვე ესტრადაზე! რა თქმა უნდა " დაბომბავს". ესეც თქვენი სკანდალი! აქედან ვიღაც ეტყვის "შე ბებეროო და გაიყიდება გაზეთი!

თედო

სხვათა შორის,ბატონო კახა, მენეჯერედაც მოიხსენიება იმ ჟურნალში ეს კაცი,,,

თეა

ესე იგი ფულიც ექნება!

ნინო

იქნებ რეკლამაც მოგვცეს....

2

კახა

დაადგინეთ სად ცხოვრობს ეს პატივცემული ადამიანი და ექსკლუზივი ჩამოართვით , თედო !ოპერატორიც წაიყვანეთ!

თედო

მე არ მცალია,ბატონო კახა, თეა და ოპერატორი წავიდნენ...

თეა

კარგით. მართალია,მაგ საკითხში ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ შევალ ინტერნეტში, მოვემზადები...

კახა

ძალიან კარგი! დაგეგვმა დამთავრებულია!

{ სცენა ავტომობილში]

თეა

ბიჭებო,მთავარია ძალიან ბებერი არ იყოს! დაფეხვილებთან რთულია ურთიერთობა...

ლადო{ოპერატორი}

ინგლისში თუ ცხოვრობდა და თან ფულიანია,კარგად შენახული იქნება.ხომ იცი– ჩოგბურთი,კრიკეტი,იახტები...მაშინ რა დაგაბერებს კაცს!

ვატო[გამნათებელი}

ერთი ეგ მითხარით, ეს გადაღება რას აიჩემა კახამ! რაში სჭირდება?

თეა

წინდახედული კაცია, თუ საინტერესო მასალა გამოვიდა– ფილმს გააკეთებს და გაყიდის:კრეატიული ტიპია!

3

ლადო

ეგ უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, უფრო სწორად, თეაზე.იმ კაცს როგორ გაუცინებს...მოდით, ხელცარიელი ნუ მივალთ. ერთი ბოთლი კონიაკიც
ავიტანოთ1

თეა

დალევა მოგინდათ,არა? ისე, ეგ ცუდი აზრი არ არის! აქ თუ არ ცხოვრობდა, შეიძლება ცივადაც კი მიგვიღოს...

ვატო

ჰოდა, ჩვენც გავათბოთ ....ურთიერთობა!

* * *

(მდიდრული სახლის ჭიშკარი.ლადო ზარს რეკს.)

ირაკლის ხმა

ვინ ბრძანდებით?

თეა

ხვიჩიებმა რომ დაგირეკეს – ის ჟურნალისტები ვართ!

(კარი იღება. გამოდის ორმოციოდე წლის მამაკაცი)

თეა

უკაცრავად, მამა სახლშია?

ირაკლი

ვის მამას ეძებთ , გენაცვალე?

თეა

რა ვიცი, იქნებ თქვენი მამაც არ არის...ჩვენ ბატონ ირაკლი ჩიქოვანთან მოვედით!

ირაკლი

სწორად მოსულხართ. მე ვარ ირაკლი ჩიქოვანი!

თეა {გაოცებული}

ეს...როგორ?

ირაკლი

მობრძანდით, მობრძანდით, პასპორტსაც გაჩვენებთ –თუ არ გჯერათ!

* * *

(ირაკლის სახლის ფეშენებელური ჰოლი.მაგიდაზე ვისკი, ხილი,სიგარეტი...)

ლადო (სიცილით)

ჩვენ კი კონიაკი მოგართვით!

ირაკლი

მაჩვენეთ ერთი ეგ ბოთლი! კონიაკის თემა ძლიერ მაინტერესებს...(ბოთლს

შეათვალიერებს} "ენისელი"...სარაჯიშვილი! დიდი კაცი იყო სარაჯიშვილი..დიდი საქმეები აკეთა! რადგან კონიაკი გყვარებიათ, მე ჩემი სიყმაწვილის დროინდელ კონიაკს დაგალევინებთ,"ენისელს", 1972 წელს ჩამოსხმულს, ხომ დალევთ?

თეა

ასე ხომ მთელ კოლექციას გაანადგურებთ?

ირაკლი

ნუ იდარდებთ,კაპიკებში მაქვს ნაყიდი!

თეა

ბატონო ირაკლი, ჩვენ გვინდოდა 1964 წელს გადაღებული ფოტოს გვერდით,ახალი ფოტოს დაბეჭდვა...

ირაკლი

მერე–და რა გიშლით ხელს? დაბეჭდეთ ორივე სურათი!

თეა

კი, მაგრამ, ორივე სურათში ერთნაირი რომ იქნებით?

ირაკლი (იცინის)

ეგ მართალია! მაგრამ არის განსხვავებაც...იქ, 60–იანი წლების სტილში მაცვია! თქვენც აიღეთ და ფიტოშოპით ცოტა გამაჭაღარავეთ, თუ გნებავთ ნაოჭებიც კამიკეთეთ! ოღონდ , მეტი არ მოგივიდეთ–ქალებს არ მოვეწონები!

ვატო

მოდით, რა...დავლიოთ!

თეა

ჰო,კარგი აზრია! ცოტას მეც დავლევ,ეს ყველაფერი " ფარული კამერის " ხრიკები ხომ არ არის?

ირაკლი {იღებს დიდი ბრიტანეთის პასპორტს]

არავითარი ხრიკი აქ არ არის! აი ჩემი პასპორტი,გაცემული დიდ ბრიტანეთში 1965 წელს! მაშინ კაპიტალისტური ქვეყნის მოქალაქეობის მიღება ძალიან იოლი იყო,მთავარია გეთქვა,რომ არ გსურდა საბჭოთა კავშირში ცხოვრება! თანაც,როგორი პროტექტორები მყავდნენ: ჯონი,პოლი..გაგიგიათ ალბათ,ხომ?

თეა {პასპორტს ათვალიერებს }

ეს პასპორტი მართლაც ძლიერი არგუმენტია! მოდით, ჩვენი გაცნობისა იყოს!

ირაკლი

ჩვენში დარჩეს და, თქვენთვის ის უფრო საინტერესო არ უნდა იყოს,რომ თითქმის ისევე გამოვიყურები,როგორც1964 წელს? შემეკითხებით – რას ვჭამ,რას ვსვამ,როგორ დიეტას ვიცავ? იქნებ უგულავას დიეტაზე კარგი რეცეპტი ვიცი? იქნებ, უკვდავების წამალი ვიპოვე?

ლადო

აუ,რა ფეხზე მოვედით! მაგარი სტატიაც გამოვა და დოკუმენტური ფილმიც!

ირაკლი

თუ კარგათ გააკეთებთ, შეიძლება ფულიც იშოვოთ...

თეა

მთავარმა რედაქტორმა გვთხოვა,რომ სხვას არ მისცეთ ინტერვიუ.

ირაკლი

მხოლოდ ერთი თვე, თორემ მე ისეთი ხელშეკრულებები მაქვს და იმდენი გექნებათ გადასახდელი....ერთი თვე,თანაც რედაქტორს უთხარით,რომ ამას თქვენი სილამაზის ხათრით ვაკეთებ!

ვატო

მე მინდა უჭკნობი ახალგაზრდობის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ!

ირაკლი

არავითარი უჭკნობი და უკვდავი მე არა ვარ! უბრალოდ, ძალიან საინტერესო ისტორია მაქვს...კარგს იზამთ, თუ ჩაიწერთ ჩემს ნაამბობს, დრო ხომ გაქვთ?

თეა

ბიჭებო, მზად ვართ? შეგიძლიათ დაიწყოთ!

ირაკლი

მკითხეთ– რაც გაინტერესებთ,არ მოგერიდოთ–ყველაფერზე გიპასუხებთ.

თეა

აღარ ვიცი,რით დავიწყო, რა გკითხოთ ? ის, თუ როგორ გაიცანით "ბითლზები" თუ როგორ დიეტას იცავთ, ან როგორ გამდიდრდით ასე?

ირაკლი

გაფრთხილებთ, ისტორია გრძელი იქნება, არა ერთი მეტრი ფირი დაიხარჯება,მაგრამ გარწმუნებთ,ძლიერ დაგაინტერესებთ!

{ სავარძელში მოკალათდება}

ეს ამბავი 1993 წელს დაიწყო...არეული და დანგრეული იყო საქართველო, თბილისის ომი,ომი აფხაზეთში...ცარიელი ვიტრინები,უშუქობა,უპურობა,მკვლელობები.ახლად ფეხადგმული კაპიტალიზმი ფულის იოლად შოვნის მაცდურ სურვილს ბადებდა...ყველა რაღაცას ყიდდა, ყიდულობდა,ბანკებში ბინებს დებდნენ...მერე ამ ბინებს კარგავდნენ! მეც ასე დამემართა:კარგი ბინა მქონდა მამისეული,მეგობარი შემომიჩნდა– ვაჟა კალანდაძე, მაგარი ბიზნეს გეგმა მაქვს და ბანკის სესხი ავი–

–ღოთო...

1 9 9 3 წ

{ თბილისური რესტორნის დარბაზი.სამხედრო ფორმაში ჩაცმული მთვრალი ხალხი.ირაკლი და ვაჟა კალანდაძე)

ვაჟა

ირაკლი! ბანკში გვყავს ვინმე ნაცნობი?

ირაკლი

კი, მყავს–რეზო ბუცხრიკიძე.მშენბანკში მუშაობს,ჯიგარია...რა გინდა?

ვაჟა

მაგარი პროექტია...ვასკა მოსკოვშია, ხომ იცი?

ირაკლი

ვიცი...რაო, რა უნდა?

ვაჟა

იმას კი არა–ჩვენ გვინდა!ფული არ გჭირდება?

ირაკლი

ფული ყველას ჭირდება! გააჩნია, რა–რის ფასად! ვერ ხედავ ნახევარი თბილისი რომ გადავარდა?

ვაჟა

ეს სხვა საქმეა–ნაღდია! სამსვლიანი კომბინაციაა: ჩვენ მხოლოდ სესხს ვიღებთ, ვასკას შემოაქვს საქონელი და მყიდველიც აქ ელოდება.

ირაკლი

რა საქონელია?

ვაჟა

მილიონი "პაჩკა" სიგარეტია: "მარლბორო" მაგაზე გიჟდებიან ხომ იცი...

ირაკლი

მერე ვინ მოგვცემს ამდენ ფულს?

ვაჟა

ბუცხრიკიძე! იმასაც ვახეირებთ, ნუ გეშინია! მოკლედ,თუ არ გავრისკეთ–შამპანურს ვერ დავლევთ!ხომ გესმის? ერთი ეს საქმე გამოვიყვანოთ და საერთოდ წავიდეთ აქედან, კანარის კუნძულებზე! ვჭამოთ ბანანები და ვიყოთ...

ირაკლი

ნათიას რა ვუყო?ცოლი არ მოვიყვანო?

ვაჟა

მერედა, ცოლს რამდენი უნდა იცი?

ირაკლი {ჩაფიქრდება)

ჰო...ეგეც მართალია...კარგი, წავიდეთ ხვალ ბანკში, ვნახოთ–რას გვეტყვის ის კაცი.

ბ ა ნ კ ი ს შ ე ნ ო ბ ა

(მმართველის კაბინეტი.ირაკლი და ვაჟა მმართველთან}

რეზო

რამდენი სჭირდება მაგ საქმეს?

ვაჟა

100 000 დოლარი.

რეზო

ახალი კანონით გართულდა სესხების გაცემა. გარანტიაა საჭირო...იმიტომ, რომ ფული ვინც გაიტანა–თითქმის არავინ დააბრუნა!

ირაკლი

რა არის ეს გარანტია?

რეზო

ოქრო! ერთი ამდენის ღირებულების ოქრო. საერთოდ, ახლა მესამედში თვლიან, მაგრამ მე ბატონ ირაკლის პატივს ვცემ და ნახევარში გავაკეთებ!ანუ,200 000–ის ღირებულების ოქროში მოგცემთ 100 000–ს. თუ ვერ დააბრუნებთ–კარგად იყავით: მყიდველი მყავს საზღვარგარეთ..

ვაჟა

ამდენი ოქრო რომ მქონდეს, ბანკი რა ფეხებად მინდა!

რეზო

ეგეც მართალია! თუმცა...ბინების ჩადებაც შეიძლება.

ირაკლი

ბინების? ბინები გვაქვს!

ვაჟა

ირაკლი, შენი ბინა უკეთესია,თან მარტო ცხოვრობ, ერთი თვით ჩავდოთ რა?

ირაკლი

ვაჟა, ხომ იცი, ეს საქმე თუ არ გამოვა– დავიღუპები! კარგად აწონ–დაწონე, თუ ეჭვი გეპარება– ნუ გავრისკავთ!

ვაჟა

აქ არა ვარ? ჩაიდეთ ბატონო რეზო ირაკლის ბინა.

რეზო

კი ბატონო! ირაკლის ბინა ვიცი– ნამყოფი ვარ...იმდენი დავლიეთ ერთხელ მასთან–ერთმანეთს ვერ ვცნობდით! თანაც –როგორ მღერის ირაკლი?

ვაჟა

ძალიან კარგი ბატონო რეზო! ეგებ გვაშველოს რამე...

რეზო

საბუთები მოაგვარეთ და ფული გაიტანეთ!

* * *

ერთი თვის შემდეგ.

(ირაკლი ჩიქოვანი "ჟიგულით" მიდის.მას შეიარაღებული პირები დახვდებიან მანქანიდან ჩამოსვამენ.ტროტუარზე ძველებურ ჩემოდანს გადმოუგდებენ. ირაკლი იღებს ჩემოდანს და ძველი უბნის დაზიანებული სახლის კიბეზე ადის.გასაღებს მორყეულ კარს მოარგებს და ოთახში შედის. ჭერი ჩამოშლილია, კედლები ჩამორეცხილი...ჩემოდანს კარადაში შეაგდებს და ტელეფონზე რეკავს.)

ირაკლი

ნათია, ირაკლი ვარ...ძალიან ცუდად....ჩვენი ქორწილი გადაიდო...არ ვიცი...ბინაც წამართვეს და მანქანაც...ნუ მკითხავ, რაღაც სორო მომიგდეს სამოწყალოდ. ასე ვთქვათ– არ მაწვიმს! ისე, მამაშენს გაუხარდება– მაინც არ მოვწონდი სასიძოდ...ბებერიაო,ჩემზე გეუბნებოდა...არ მეძებო–არაფრის ხასიათზე არ ვარ....(ყურმილს დაკიდებს,ტახტზე წამოწვება,სიგარეტს გააბოლებს,კარზე დააკაკუნებენ. ირაკლი კარს აღებს}

კალმახელიძე{ოთახს თვალს მოავლებს}

ძალიან კარგი, ძალიან კარგი!

ირაკლი

არაფერი კარგი ბატონო ჩემო, არც არაფერი კარგი....

კალმახელიძე

მეზობელო კარისაო...როგორ არის?ძალიან გამიხარდა,რომ დაგინახეთ...ახაალი მეზობელი!

ირაკლი

რა..ძველი არ მოგწონდათ?

კალმახელიძე

სხვათაშორის ვთქვი– გული დამწყდა,რომ გადავიდა...ფული იშოვა და ფრრრ...გაფრინდა პრესტიჟულ უბანში,"მე კი დავრჩი მტკვრის პირას უსახელო პოეტი..."

ირაკლი

პოეზია გყვარებიათ! აქაურობას პოეზია თუ მოუხდება...ვისი ლექსი წამიკითხეთ? თუ არ ვცდები, ტერენტი გრანელის!კი, ნამდვილად უხდება!ისიც ხომ უსახლკარო იყო...თქვენი სახელი?

კალმახელიძე

მოგზაური კალმახელიძე!

ირაკლი {დამცინავად}

თავადი ჩიქოვანი!

კალმახელიძე

სასიამოვნოა თავადო! იქნებ, ახალმოსახლეობა აღგვენიშნა?

ირაკლი

რა მაგის პასუხია და სად მოგზაურობთ ბატონო...

კალმეხელიძე

ნუგზარ, ნუგზარ კალმახელიძე!

ირაკლი

სად მოგზაურობთ ბატონო ნუგზარ? კუსტო გამიგია, მიკლუხო მაკლაი,მარკო პოლო,ლეჟავაც გამიგია, ველოსიპედით რომ აპირებს მსოფლიოს შემოვლას, მაგრამ...კალმახელიძე არ გამიგია!

კალმახელიძე

გაიგებთ თავადო, გაიგებთ! გვარს ვამართლებ: კალმახივით ვმოგზაურობ...

ირაკლი

მაინც, რას გულისხმობთ კალმახივით მოგზაურობაში, იმას ხომ არა–სწრაფი რომ არის?

კალმახელიძე

აღმა რომ აუყვება სათავისკენ –სწორედ იმას ვგულისხმობ!

(გაისმის ავტომატის ჯერის ხმა) ისევ ისვრიან...

ირაკლი

ჰო...აირია ქვეყანა!

კალმახელიძე

იცით, რა უნდა გითხრათ? აი ამ ლექსით:

" აი რა მზის სიზმარია,
აირევი ივერია.
აი დროშა, აშორდია,
ჰაერების სიბერეა'

გალაკტიონმა ჩვენი დრო იწინასწარმეტყველა!

ირაკლი

ეგ საიდან დაასკვენით?

კალმახელიძე

ეს ლექსი 1927 წელს არის დაწერილი. ორს მივუმატოთ შვიდი, უდრის ცხრას. ესე იგი, 90–იან წლებში აირევაო! გესმით, რა საოცარია?ეს ვუთხარი ამას წინათ და გაიკვირვა: თვითონაც არ იცოდა ეს ამბავი!

ირაკლი (გაოცებული)

ვის უთხარით, ბატონო?

კალმახელიძე

გალაკტიონს...

1 9 5 3 წელი

(იმდროინდელი თბილისის ქუჩა. "ზიმები", "პობედები"სტალინის სურათი, წითელი დროშები.გალატიონ ტაბიძე ქუჩას გაურკვეველი ბუტბუტით მიუყვება. კალმახელიძე ქუჩის მეორე მხრიდან დაუძახებს:

კალმახელიძე

გალაკტიონ! გალაკტიონ! (ქუჩაზე გადადის, პოეტს მიუახლოვდება}
მე ვარ, კალმახელიძე– ვერ მიცანი?

გალაკტიონი

რამდენი ხანია,არ გამოჩენილხარ, სად ხარ, შე კაცო?

კალმახელიძე

რა ვიცი, ვერ მოვიცალე...გესაუბრო მინდა! აქვე ჩავიდეთ და როგორც გვჩვევია....

გალაკტიონი (წყენით}

შენ მე ლოთი გგონივარ?

კალმახელიძე

არ მიკადრებია, არ მინდოდა შენი წყენინება!

გალაკტიონი

კაცი ღვინოს დარდს ვატან და, ესენი ლოთს მეძახიან!რო არ სვამენ– დაწერონ "ლურჯა ცხენები," თუ მაგარი ბიჭები არიან! შენ კი....შენ რა მოხელე ჩიქვანი ხარ,არ მეტყვი, წერ რამეს?

კალმახელიძე

მკითხველი ვარ! ხომ იცი, როგორ მიყვარს შენი ლექსები...ვაღმერთებ!

გალაკტიონი

მაშინ შევაფაროთ ამ სარდაფს თავი..."გარეთ სიცივე, გაუტანლობა, ვის არ დახვრიტავს ჩვენი მთავრობა!"

კალმახელიძე

რატომ არ ვიცი გალაკტიონ, ეს ლექსი?

გალაკტიონი (სიცილით)

არ მიბეჭდავენ ძამიკო!

* * *

ძველი სარდაფი. კასრებზე მოქეიფენი.

გალაკტიონი

ეი, ბიკენტიჩ! ნახე, რა ბიჭები მოგივედით! არ გიხარია?

ბიკენტიჩა

რავქნა ბატონო, თქვენნაირი ხალხის სტუმრობა რავა არ მიხარია,მარა...(კალმახეიძეს ჩასჩურჩულებს} ფული გაქთ?

კალმახელიძე

გვაქვს.

ბიკენტიჩა

აგაშენათ ღმერთმა! რას მიირთმევთ?

გალაკტიონი

ბევრი ჭამა არ გვინდა: მჟავე, ყველი, ლობიო...და რვა ნომერი ღვინო!"გულში ღადარი რომ გაიღვივო,ძველ მეგობრებთან სვი ძველი ღვინო!"

კალმახელიძე

არც ეგ ვიცი!

გალაკტიონი

საიდან გეცოდინება – ახლა ვთქვი პირველად!რვა ნომერს დალევ, ხომ?

კალმახელიძე

შენთან ერთად შხამს დავლევ, მაგრამ ახლა ყველა ღვინო კარგია....

გალაკტიონი

მერე რა მოუვა ვითომ?

კალმახელიძე

ქიმიას გაყიდიან...რა მინდა გალაკტიონ, რომ გკითხო: რომ წერ: "აი რა მზის სიზმარია, აირევი ივერია"–ო, რა იცი,რომ აირევა?

გალაკტიონი

ეს პალინდრომია! ასეთი ლექსი წაღმა–უკუღმა ერთნაირად იკითხება. სხვა რამე დაინახე შენ?

კალმახელიძე

კი, სხვა რამე დავინახე!ხილვა გქონია გალაკტიონ,აირევა ივერია...

(ჭიქებს ავსებენ)

გალაკტიონი

შენი აბბები მომიყევი, ძამიკო, მოვეშვათ ამ სისულელეებს!

კალმახელიძე

მე... ბედნიერი კაცი ვარ რომ გისმენ, გელაპარაკები...

გალაკტიონი

თუ ასე ცოტა უნდა ბედნიერებას, მოდი შენს ბედნიერებას გაუმარჯოს!

კალმახელიძე

შენს ნიჭს გაუმარჯოს, გალაკტიონ, თავს გაუფრთხილდი!

გალაკტიონი (მოწყენით}

აღარ მინდა დალევა... წავიდეთ [ფულს ეძებს კიტელის ჯიბეებში]

კალმახელიძე [1961 წლის თუმნიანებს ამოიღებს საფულედან]

აი, ბიკენტიჩ, ჩვენი ფული!

ბიკენტიჩა

რაა ეს? ფული მომეცით!

კალმახელიძე

შემშლია,მაგრამ ეს ფულია მეგობარო, რამდენიმე წელში გამოვა და ხარჯე–რამდენიც გინდა.

ბიკენტიჩა [აღშფოთებით]

რას ამბობს ეს კაცი გალაკტიონ?

გალაკტიონი [თუმნიანებს ათვალიერებს]

შენ დახატე ძამიკო ეს ფულები? კაი ბიკენტიჩ, მე დამაწერე თუ კაცი ხარ, ეგ დანახარჯი!

კალმახელიძე

ეგ თუ არ გინდა, ამ საათს დაგიტოვებ თავდებში,მერე მოვალ და გამოვისყიდი...

ბიკენტიჩა [ყურადღებით ათვალიერებს ნივთს]

არც ესაა საათი!!

გალაკტიონი(საათს გამოართმევს)

აბა რაა, შე კაცო, კომპასი? მართლაც რა უცნაურია, ისრები არა აქვს!

კალმახელიძე

ხომ ხედავთ,19 აწერია ციფერბლატს,ესე იგი – საღამოს შვიდი საათია.თანაც– უკრავს! [ღილაკს ხელს დააჭერს და დუქანში მუსიკის ხმა იღვრება]

გალაკტიონი

სად იშოვე ასეთი საათი?

კალმახელიძე

ციგნებში ვიყიდე, იაფად!

გალაკტიონი

უყურე შენ მაგ ციგნებს? ხედავ, ბიკენტიჩ,ორ მჟავე პამიდორში რა საათს გიტოვებთ?

ბიკენტიჩა

გაგიჟდება ჩემი ცოლი! კიდევ მიირთვით, რაც გენებოთ...[გადის]

გალაკტიონი

ეგ კოსტუმიც ციგნებში იყიდე?

კალმახელიძე

არა...ეს "სეკენჰენდში" ავიღე.

გალაკტიონი

"სეკენჰენდი" რაღა ჯანდაბაა ?

კალმახელიძე

მეორად ტანსაცმელს ნიშნავს, ესე იგი,ჩემამდე ვიღაცას ეცვა...ამ ტანსაცმლით გერმანელები გვეხმარებიან.

გალაკტიონი [გაოცებით]

როგორ,ჩვენ, საბჭოთა ხალხს, გერმანელები გვეხმარებიან? წარმოუდგენელია!

კალმახელიძე

კიდევ ბევრი რამ მოხდება წარმოუდგენელი,მაგრამ შენ,გალაკტიონ, თავს გაუფრთხილდი, თავის მოკვლაზე ნუ ფიქრობ!

გალაკტიონი [მკაცრად]

ვინ გეკითხება შენ, მე რაზე ვფიქრობ?! [პაუზის შემდეგ] რა კაცი ხარ, კაცო შენ, მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდი?

კალმახელიძე

პირდაპირ გეტყვი გალაკტიონ,მე იმ არეული საქართველოდან ვარ,ანუ მომავლიდან!

გალაკტიონი

ეს საათიც, იქედანაა?

კალმახელიძე

საათიც,პიჯაკიც,ფულიც იქედანაა,მეც იქედან ვარ...

გალაკტიონი

საოცარია...საოცარია!

* * *

2 0 1 1 წ

ირაკლი ჩიქოვანის სახლი

თეა

კი მაგრამ...ბატონო ირაკლი,თქვენ საიდან იცით ეს ამბები?

ირაკლი

პირველად კალმახელიძე გიჟი მეგონა,წარმოიდგინეთ, კაცი რომ გეტყვით, ამას წინათ გალაკტიონს ვესაუბრეო,გიჟი გეგონებათ...მე რომ პასპორტი და ეს ფოტოები არ მიმაგრებდეს ზურგს, თქვენც გიჟი გეგონებოდით,მაგრამ საქმე ფიზიკასთან გვაქვს.

ვატო

თქვენი არ ვიცი და...თუ არ დავლიე– მე ნამდვილად გავგიჟდები!

ირაკლი

დავლიოთ,კიდევ მოვიტან, გადასასვლელი არ დაიკეტებოდა.

15

თეა

"გადასასვლელი" სუპერმარკეტს" ჰქვია?

ირაკლი

სადაც ამ კონიაკს ვყიდულობ,იქ სუპერმარკეტები არაა...ჩვეულებრივი გასტრონომია, ცირკის პირდაპირ –თერთმეტსართულიანი სახლის ქვეშ.

თეა

მოდით, ჩაწერა გავაგრძელოთ!

ირაკლი

კი ბატონო! ნება თქვენია. სად შევჩერდით? ჰო, გამახსენდა,კალმახელიძეს ვესაუბრებოდი... ის გასული არ იყო, რომ ვიღაცამ ეზოდან დამიძახა...

1 9 9 3 წ

[ნათია ჩემოდნით ხელში]

ნათია

ირაკლი!..ირაკლი!

ირაკლი [კიბეს ჩაირბენს}

აქ რა გინდა? როგორ მომაგენი?

ნათია

ეს არის ვაჟკაცობა? მისამართი თუ არა – ტელეფონის ნომერი მაინც გეთქვა ჩემთვის! რას იმალები?

ირაკლი

შენ რა, სახლიდან წამოხვედი? აქ როგორ უნდა იცხოვრო, ფუფუნებაში ხარ გაზრდილი! ცოტა ხანს მაცალე,რაღაცას ვიშოვი და...

ნათია

ჯერ ერთი, მე ის ქალი არა ვარ–კაცი ქონებით შევარჩიო[რამდენადაც არ უნდა გიკვირდეს!] მეორეც– თუ რამეს იშოვი, მე ხელს არ შეგიშლი,პირიქით,მოგეხმარები!

ირაკლი

ამ სიღარიბეს რომ ვერ გაუძლო?

ნათია

თავს გამოვცდი! [ოთახს ათვალიერებს] ბინა მართლაც საძაგელია! აბაზანა, როგორც ჩანს, არ არის... არა უშავს,დაქალთან ვივლი, აქვე ცხოვრობს. სამზარეულო თუ გვაქვს?

ირაკლი

საერთო სამზარეულოა– კალმახელიძესთან...

ნათია

ნორმალური კაცია?

ირაკლი

ქვას არ ისვრის...უცნაურ ამბებს კი ჰყვება. ეგ ჩემოდანი საწოლის ქვეშ დადე! მამაშენი არ გეძებს?

ნათია

საღამოთი ჩემი დაქალი დაურეკავს და ეტყვის,რომ გავთხოვდი...

ირაკლი [გულში ჩაიკრავს]

მოდი ჩემო სიცოცხლევ, ჩემო გმირო !

[კარზე აკაკუნებენ . ირაკლი კარს აღებს, შემოდის მეზობელი ჩხარტიშვილი ,ხელში ''გრაფინით".]

ჩხარტიშვილი

ოოო," ნოვოსელიეს' გილოცავთ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სამეზობლოში!ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ: ვახტანგ ჩხარტიშვილი –პროფესიონალი რკინიგზელი–თქვენი მეზობელი.

ირაკლი

სასიამოვნოა ბატონო ვახტანგ, ეგ რა არის?

ჩხარტიშვილი

ეს არის ჩემი მეუღლის საფირმო სასმელი, აი..., "ნალივკას" რომ ეძახიან...ძალიან გემრიელია, თანაც –ათრობს!

ირაკლი

ახლა მაინცდამაინც არ ვართ სტუმრის მიღების სიტუაციაში,მაგრამ... აქ დაბრძანდით...[სკამს დაუდგამს.ვახტანგი ჩამოჯდება. ორ ჭიქას შეავსებს]

ჩხარტიშვილი

დიდხანს არ შეგაწყენთ თავს... ამ ჭიქით, თქვენს მობრძანაბას გაუმარჯოს ჩვენს ეზოში!

ირაკლი

გაუმარჯოს, სიმართლე გითხრათ, ჩემი ბინა მირჩევნია...მაგრამ რა გაეწყობა, ჩემს უტვინობას სხვას ვერ დავაბრალებ!

ჩხარტიშვილი

მთები აჭრელდა როგორც ჟირაფი,
მატარებელი მიჰქრის ბინდებად
ახლა იწყება წიფის გვირაბი, .
თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?!

ირაკლი

ამ სამეზობლოში ყველანი ლექსებით ლაპარაკობთ?

ჩხარტიშვილი

" ის" უკვე იყო?

ირაკლი

ვინ ის? კალმახელიძეს გულისხმობთ? ჰო, იყო, მოგზაური ვარო –მითხრა.

ჩხარტიშვილი

აფრენს ეგ უბედური! მოგზაურობას კი რაც შეეხება–,მოგზაური მე ვიყავი! რკინიგზა! აი ეს იყო მოგზაურობა: თბილისიდან მოსკოვამდე, ვლადივასტოკიდან– სოჭამდე! სად არ მიმგზავრია, რა საქმეები არ გამიჩარხავს!

ირაკლი

როგორც ვხედავთ,– ყველა ძველ დროს მივსტირით...მოდოთ, ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს!

ჩხარტიშვილი

უბრალო გამცილებლობით დავიწყე,ხოლო პენსიაზე ბრიგადირის წოდებაში გავედი! მაგრამ რა? მომიგდეს რაღაც კაპიკები...ახლა 200 მანეთად ერთ კოლოფ სიგარეტს თუ იყიდი,მაშინ კი, ეს თანხა მთელი თვე მყოფნიდა! ...ეჰ, რაც არის,არის...იცით,რა მინდა გითხრათ?დღეს ჩემი დაბადების დღეა,ორთავეს გულით გეპატიჟებით! 7 საათზე, კვარტირა ჩეტირნადცატ! აბა ,გელოდებით! [კარებთან გაჩერდება,შემოტრიალდება]

გითხრათ ალბათ, გალაკტიონს ვხვდებიო...[თითს საფეთქელთან დაიტრიალებს] აფრენს, აფრენს ეგ უბედური![გადის]

ირაკლი

ნათია, მე მგონი ჯობს, სხვაგან გადავიდეთ–აქ ჩვენც გავაფრენთ! მგონი საგიჯეთში მოვხვდით!

ნათია

სხვაგან, შენ გგონია ნაკლები გიჟები არიან? მე თუ მკითხავ,სიამოვნებით ვეწვეოდი შენთან ერთად ბატონ ვახტანგს,წესიერი კაცი ჩანს,თანაც, ქორწილს გადავიხდით!

ირაკლი

არადა, რა გეგმები მქონდა? ეს რა მიქნა იმ სულელმა?....

* * *

2 0 1 1 წ

ირაკლის სახლი.

თეა

ნათია სად არის ამჟამად,ბატონო ირაკლი?

ირაკლი

ამერიკაში წავიდა...არ ვიცი გათხოვდა,არ ვიცი–ბიზნესი აქვს, ბედმა დაგვაშორა!

თეა

დასანანია, სიმართლე გითხრათ, უფრო კარგ ფინალს ველოდი... კარგი, მერე რა მოხდა?

ირაკლი

ვესტუმრეთ ჩხარტიშვილებს ,კარგადაც მოვილხინეთ,დენიც მოგვცეს– ცოტა ხნით! რა ბედნიერები ვიყავით მაშინ...საოცარია: ახლა ცნობილი და მდიდარი კაცი ვარ და მიკვირს–სად გაჰქრა ბედნიერების ის შეგრძნება?

თეა

იმ კაცს,თქვენი ბინა რომ ბანკში ჩადო, მას რა ბედი ეწია?

ირაკლი

მეორე დილით ტელეფონი აწკრიალდა...ვის უნდა დაერეკა ჩემთან? მხოლოდ მეზობლებმა იცონენ ჩემი ტელეფონის ნომერი...

1 9 9 3 წ

ირაკლის ბინა.ნათია ლოგინიდან დგება და ტელეფონს იღებს]

ნათია

ირაკლი, მოსკოვია,მგონი ის შენი ძმაკაცი უნდა იყოს.

ირაკლი [ყურმილს დასწვდება]

გისმენთ!

ვაჟა

ირაკლი,ბიჭო! არ გამაწყეტინო! ვიცი, ჩემზე გაბრაზებული ხარ,მაგ საქმის გამოსწორება მინდოდა და კიდევ გავრისკე...მოსკოვში უბედურებაში გავეხვიე...ახლა მევალეების ტყვეობაში ვარ,ორშაბათს ფული თუ არ მივეცი, მოკვლით მემუქრებიან!

ირაკლი

შენ ნამუსი გაქვს?

ვაჟა

ახლა ნუ დამღუპავ, ირაკლი,მიშველე და ყველაფერს გადავიხდი!

ირაკლი

რამდენს ითხოვენ?

ვაჟა

50 000–ს დოლარს.

ირაკლი

ამხელა ფულს ვინ მომცემს?

ვაჟა

ირაკლი, შენზე გამოსული კაცი არავინ მყავს,მიდექი–მოდექი, ვინმეს შეეხვეწე,იქნებ ჩემი ბინაც ჩადო..ეგებ შეგროვდეს როგორმე...

ირაკლი

იმ კაცთან მე ვეღარ მივალ...პირი ვუტეხეთ, გაიგე, ახლა–კაცს რომ პირი არ უნდა უტეხო?

ვაჟა

გავიგე...ოღონდ ახლა მიშველე და მერე მე ვიცი!

ირაკლი

კარგი,კარგი...ძმა რომ არ იყო,მე ვიცი– შენ რისი ღირსიც ხარ! მოვიფიქრებ რამეს...შენი ნომერი ჩამაწერინე! [ნომერს ჩაიწერს] ჩემი ნომერი ვინ მოგცა..რეზოს დაურეკე? ჰო..ეგ გეტყოდა...

ნათია

რაო, რა შარშია გახვეული?

ირაკლი

სად ვუშოვო ახლა 50 000 ? პურის ფული არა აქვს ხალხს...

ნათია

მხედრიონში ან გვარდიაში არ გყავს ვინმე? მაგათ ფულის მეტი რა აქვთ?

ირაკლი

ახლა ომია აფხაზეთში, ხალხი იქეთ სწირავს ფულს,ძვირფასეულობას და მე მოვითხოვო?

ნათია

ზოგი– დებს, ზოგს– ართმევენ...რა დაგიმალო და აქ უფრო დაცულად ვგრძნობ თავს, ვიდრე ჩემს სახლში, ჩემი ანტიკვარიატით გამოტენილ სახლში,სადაც ერთი ჭაღის გულისთვის შეიძლება დაგვხოცონ!

ირაკლი (სიცილით)

ესე იგი, თავშესაფარში ხარ?

ნათია

ყოველი მამაკაცი ქალის თავშესაფარი უნდა იყოს! ასეა გამოქვაბულის დროიდან – დღემდე!

ირაკლი

ეგ "გამოქვაბული" მომეწონა! ვითომ გამოქვაბულში ვართ, გარეთ გამყინვარებაა,ჩვენ კი, ცეცხლი გვინთია და ვართ ჩვენთვის თბილად...

ნათია

სიყვარულის ცეცხლი გვინთია... აუ, რა კარგია!

ირაკლი

მაგრამ.... ვაჟა კალანდაძის გამო, ახლა უნდა ჩავიცვა მამონტის ქურქი,(ამას წინათ რომ მოვკალი), გავიდე გარეთ ამ ყინვაში, (სიმბოლურად ვამბობ!) და ვითომ ჩემი გაჭირვება არ მყოფნიდეს,მისთვის ფული უნდა ვეძებო!

ნათია

ძმა ძმისთვისაო– შავი დღისთვისაო! შენ ხომ რაინდი ხარ?

ირაკლი

დიახ, ჩემო პრინცესავ! [აკოცებს]

2 0 1 1 წ

ირაკლი ჩიქოვანის სახლი.

თეა

თქვენი ისტორია, ამ კონიაკივით თავბრუ დამხვევია!

ირაკლი

მოდით, ცოტა ,შევისვენოთ, მუსიკას მოვუსმინოთ! შეიძლება, გეცეკვოთ?

თეა

სიამოვნებით...

(ირთვება ნოსტალგიური მუსიკა.ცეკვავენ)

ირაკლი

ეს არის ჩემი სიყმაწვილის მუსიკა...მუსიკა ერთგვარი დროის მანქანაა,იქ გადაგისვრის, რა დროშიც პირველად მოისმინეთ...

თეა

თქვენ მართლაც საოცარი ადამიანი ხართ!...

ირაკლი

თქვენ კი– ისეთივე ლამაზი ხართ, როგორც ეს მუსიკაა!

ნათია

ასე მგონია, უმწეო არსება ვარ და რაღაც მთასავით დიდ და უცხო არსებას შევეფეთე...

ირაკლი

სხვათაშორის , ლივერპულში "ბითლზის" ქანდაკება დგას–კენტავრების სახით წარმოდგენილი!

ნათია

საინტერესოა...ესე იგი ჩემი და იმ მოქანდაკის ხედვა თითქმის ერთნაირია...

ირაკლი [სიცილით]

ჰო, თითქმის....თუმცა, ჩემი ქანდაკება ჯერჯერობით არსად დგას...
ხვალაც ხომ მოხვალთ?

თეა

გააჩნია–რამდენ ხანს გაგრძელდება თქვენი ისტორია.

ირაკლი

საკმაოდ ბევრი მაქვს საამბობი...როგორ ჩაატევთ ყველაფერს ერთ სტატიაში...?

თეა

მაგას ჩვენი რედაქტორი მოუვლის,თუ მოეწონა– მთელ ციკლს გააკეთებს.. მოდით, გავაგრძელოთ ჩაწერა! (დიქტაფონს რთავს) ბატონო ირაკლი...
რა მოხდა შემდეგ? დაეხმარეთ თქვენს მეგობარს?

ირაკლი

მივდექი–მოვდექი,ფული არავინ მასესხა,მეორე დღისთვის ბანკში გადავწყვიტე წასვლა...საღამოხანს სახლში ვბრუნდებოდი...ეზოში კალმახელიძე შემხვდა.

1 9 9 3 წ

იტალიური ეზო.

კალმახელიძე

როგორა ხარ ირაკლი? ახალმოსახლეობა არ ავღნიშნოთ? ცოტა არ იყოს ნაბახუსევი ვარ,სიამოვნებით ვისაუბრებდი თქვენთან...

ირაკლი

მეც "პახმელიაზე" ვარ,გუშინ ჩხარტიშვილებთან ვიყავით მე და ნათია,კარგა ბლომად დავლიე!

კალმახელიძე

ჩემზე გითხრა– გიჟიაო,ხომ?

ირაკლი

კი,რაღაც ეგეთები თქვა...სიამოვნებით ვივახშმებდი ბატონო ნუგზარ თქვენთან ერთად ,მაგრამ ამჟამად ცოტა ქესეტად ვარ...

კალმახელიძე (სიცილით)

საერთოდ არ გაქვს ფულის ნიშნები?

ირაკლი

ოციოდე თუმნიანი მაქვს, მაგრამ ამით მხოლოდ ერთ კოლოფ სიგარეტს თუ იყიდი...

კალმახელიძე

არადა, რა ფული იყო ერთ დროს?... მომეცი ეგ ფული და ყველაფერს მოვიტან,იმდენ სიგარეტსაც წამოგიღებ–მთელ თვეს გეყოფა! "კოსმოსს" ხომ მოწევ...მაგარყდიანს.? (ფულს ართმევს და ეზოდან გადის. ირაკლი სახლში ბრუნდება)

ნათია

რა ჰქენი,იშოვე რამე? სახეზე გეტყობა–ვერაფერი!

ირაკლი

ერთი დანჯღრეული მანქანა მყავდა და–ისიც წამართვეს...ტაქსი ქალაქში აღარ დადის,ტროლეიბუსებზე ხალხი ზემოდან ასხდება,თან დენი ითიშება და საათობით დგას ჯორივით...ამიტომ ფეხით ვიარე,(მთელი თბილისი ფეხით დადის) სიქა გამწყდა–იმდენი ვიარე!–სულ ტყუილად!... კალმახელიძე მოიტანს რაღაცეებს და ვივახშმოთ,"ნოვოსელიე" ავღნიშნოთო, მითხრა...არადა, მართლა გიჟია,ორას მანეთად რა უნდა იყიდოს?

ნათია

ჩხარტიშვილი იყო ...დღეს იცი რა მოხდა?

ირაკლი

მოკლეს ალბათ ვინმე,ფრონტზე წარმატებები ხომ არ არის?

(კარზე დააკაკუნეს.ჩხარტინვილი შემოვიდა)

ჩხარტიშვილი

ირაკლი, მოხვედი? ვიღუპები ბიჭო,შენი შველა მჭირდება!

ირაკლი

რაშია საქმე, ბატონო ვახტანგ?

ჩხარტიშვილი (გვერდზე გაიყვანს,ეჩურჩულება)

ვიღუპები, მიმოქცევიდან საბჭოთა ფული ამოიღეს!

ირაკლი

მერე რა? თქვენ რა გენაღვლებათ?

ჩხარტიშვილი
მილიონი მიფუჭდება!
ირაკლი
ჰოო? რომ არაფერი გეტყობათ?

ჩხარტიშვილი
შენს ამბავს რომ მიამბოდი, სამჯერ ბანკირი ახსენე–რეზო...სამი დღეა გადასახურდავებელი ვადა,იქნებ გაგიკეთოს ეს საქმე და ნახევარს მოგცემთ!
მთლად რომ დავკარგო–დავიღუპები!

ირაკლი
ფული სად არის

ჩხარტიშვილი
სახლში მაქვს...
ირაკლი
მოიტა! (ვახტანგი გადის}

ნათია
რა უნდოდა ამ კაცს?
ირაკლი
გაგიჟდება კაცი! მატარებლის ბრიგადირს მილიონი საიდან უნდა ჰქონოდა?

ნათია
აგროვებდა ალბათ,შენსავით კი არ ყრიდა რესტორნებში!
ირაკლი
წლობით ფული როგორ უნდა აგროვო? როდისღა უნდა იცხოვრო? მანდ რაღაცაშია საქმე... თუმცა, მე რა მენაღვლება? წავიღებ მაგ ფულს ხვალ ბუცხრიკიძესთან და თუ გადაახურდავა–ვაჟასაც ეშველება და ჩვენც!

ნათია
პური ამოვიტანე...იმოდენა რიგი იყო ვიღაც მადლიან კაცს რიგი რომ არ დაეთმო–გავაფრენდი.
ირაკლი
ეჭვიანობა არ დამაწყებინო!
(შემოდის კალმახელიძე. ბადურა სავსე აქვს სურსათით)
კალმახელიძე
აი ნახეთ რეები მოვიტანე: ძეხვი" დოქტორსკი," ყველი შვეიცარული,სოსისი, მაკარონი,ყველი "ვიოლა,(პურზე ისმევა) ქაშაყი,(სილიოტკად"წოდებული) სიგარეტი' "კოსმოსი" 30 კოლოფი და რაც მთავარია–კონიაკი "ენისელი", 1972 წლის ჩამოსხმა! მსხლის ლიმონათი მისაყოლებლად!ესეც, 100 მანეთი ხურდა გერგება.

ირაკლი
საიდან ეს ყველაფერი? ილუზიონისტი ხომ არა ხართ, ბატონო ნუგზარ? აბა,ერთი ეგ კონიაკი მომაწოდეთ!(ბოთლს გამოართმევს და კითხულობს) "თბილისის კონიაკის ქარხანა 1972 წ" ეს სადღა იშოვეთ? კოლექცია გაქვთ?

ნათია

ახლა იმდენ ოჯახს უჭირს,კაპიკებში ყიდიან ყველაფერს...

კალმახელიძე

აქვე ვიყიდე,ჩვენს უბანში,მოკლედ, მებაღეს რას კითხულობთ– ნაყოფი იგემეთ!

ირაკლი

ბატონო ნუგზარ, ისეთი რამეები ხდება ჩვენს თავს– სიზმარში მგონია თავი!

კალმახელიძე

ნათია, შენ მაგიდა გაშალე – ჩვენ ცოტას ვისაუბრებთ...ირაკლი, აბა, გავუსინჯოთ გემო ამ კონიაკს...ახალი ჩამოსხმული კია,მაგრამ...

ირაკლი

როგორ თუ ახალი..ოცი წელი ცოტაა?

კალმახელიძე (დაისხამს და მოსვამს)

კარგია...ირაკლი, დრო იცი, როგორია?

ირაკლი

ვიცი...ჩქარა გადის...

კალმახელიძე (სიცილით)

ეგ მართალია, მაგრამ მაგას არ ვგულისხმობ! შენ რომ გგონია, რომ დრო იტალიური მაკარონივით გრძელი და დაუსრულებელია...

ირაკლი

აბა არ არის დუსრულებელი?

კალმახელიძე

წლები ჩანგალზე დახვეული სპაგეტივიითაა გვერდიგვერდ დალაგებული და მათ შორის დიფუზიის, (ან მსგავსი რაღაცის მეშვეობით), გადასასვლელი ჩნდება...ერთიდან– მეორეში. გასაგებია?

ირაკლი

ასე მარტივია? ვიყიდოთ მაკარონი და მორჩა!

კალმახელიძე

მე შენ სუფრის ენაზე გესაუბრები...მთავარია ის,რომ გადასასვლელი არსებობს და ის აძლევს ჩემს სიცოცხლეს აზრს და ინტერესს...

ირაკლი (გადაჰკრავს სასმელს)

სად არის მერე ეგ გადასასვლელი? წავალ, ავცდები ამ ჯოჯოხეთს!

(შემოდის ნათია)

ნათია

აუ, რა პურმარილი იშლება? გული მწყდება,რომ მამაჩემი არ არის ჩვენთან–როგორ უყვარს

ასეთი რამეები!

კალმახელიძე

მალე მოვა დრო– მასთან ერთადაც ვიქეიფებთ! უკეთეს სუფრას გავშლით. (კარებზე აკაკუნებენ) ირაკლი, მგონი ჩხარტიშვილია–მაგასთან ერთად არ ვსვამ, მე წავალ...

ირაკლი

ბრძანდებოდეთ–, მე გავალ– პატარა საქმე აქვს ჩემთან...(ირაკლი გადის)

ჩხარტიშვილი

ის გიჟია ხომ შენთან?

ირაკლი

ჰო,აქ არის!

ჩხარტიშვილი (დიპლომატს ხსნის,რომელიც ფულით არის სავსე) აი, ეს ფული!აბა,შენ იცი, ირაკლი! შენი იმედი მაქვს!

ირაკლი

ყველანაირად ვეცდები...ბოდიში,რომ ვერ გეპატიჟებით...

ჩხარტიშვილი

მაგას ნურაფერს ეტყვი...

ირაკლი

კარგი, ხვალვე წავალ ბანკის მმართველთან...

ჩხარტიშვილი

აბა, შენ იცი!

ირაკლი (ოთახში ბრუნდება)

ნათია, ეს კარადაში შეინახე...

კალმახელიძე

ფულია ხომ?"არ რა არს რა დაფარული"...ხომ გამჟღავნდა ბოლოსდაბოლოს? ეგ კაცი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილივითაა, მთელი ცხოვრება ცოლის გაკეთებულ "ნალივკას"სვამდა, რესტორანში რომ არ დახარჯულიყო! ექნება ფული, აბა რა?

ირაკლი

ბატონო ნუგზარ,მე გადავწყვიტე...მე მზად ვარ!

კალმახელიძე

ასეც ვიცოდი, ამ ფულმა დროზე მოგისწრო! ამ ფულით,თუ რათქმაუნდა "დიპლომატი"სავსეა,. (ირაკლი თავს დაუქნევს თანხმობის ნიშნად) ბევრი რამის გაკეთება შეიძლება... მაგალითად, მიხვიდე ლენინის მოედანზე და ოქროულობის მაღაზიაში შეიძინო ბრილიანტის ბეჭდები, ოქროს ნივთები და სასწრაფოდ დაბრუნდე უკან...

ირაკლი

მართალი თუა, რასაც მეუბნებით–, დაგლიჯავს!

ნათია

რაზე საუბრობთ, ვერაფერი გავიგე, მაგრამ მიზნების ასრულების სადღეგრძელოს მაინც შემოგთავაზებთ!

ირაკლი

ფანტასტიური სადღეგრძელოა,ჩვენი ჩანაფიქრების ასრულებისა იყოს...

კალმახელიძე

მაშ,ხვალისათვის მოემზადე!

2 0 1 1 წ

ირაკლი ჩიქოვანის სახლი.

ირაკლი

თუ შეიძლება მე გაგაცილებთ...

თ ე ა

ნუ შეწუხდებით, ბატონო ირაკლი,მანქანა მოგვაკითხავს.

ირაკლი

არ ვწუხდები! პირიქით–თქვენთან ურთიერთობა მსიამოვნებს...

(მანქანაში სხდებიან)

ჯერ ბიჭები მივიყვანოთ რედაქციამდე... მერე კი, თქვენ წაგიყვანთ–სადაც მეტყვით!

თ ე ა

მართლა გადახვედით წარსულში? განა ეს შესაძლებელია?

ირაკლი (გზადაგზა საუბრობს)

მეორე დილით კალმახელიძემ შემომიარა. ჩავჯექით მის მანქანაში და ფულით სავსე "დიპლომატით' მივუახლოვდით ცირკის შენობას..ცირკს უკანა მხრიდან , ადმინისტრაციის ასასვლელიდან მივადექით..კალმახელიძემ.გორაკის ფერდზე ძნელად შესამჩნევ ხის კიბესთან მიმიყვანა,რომელიც ქუჩამდე ჩადიოდა...

1 9 9 3 წ

(კალმახელიძე და ირაკლი ხის ხავსიან კიბესთან)

კალმახელიძე

ერთხელ, ამ ოციოდე წლის წინ ამ გორაკს ციური ნათება შარავანდედად დაადგა თავს...დიდძალ ცნობისმოყვარეთ მოუყარა თავი ამ მოვლენამ...მოგეხსენება,მაშინ მფრინავი თეფშების თემა ძალზე პოპულარული იყო. ეს მოვლენაც უცხოპლანეტელებს მიაწერეს...მაგრამ სამეცნიერო წრეები(მათ შორის ცნობილი მწერალი და მკვლევარი გურამ ფანჯიკიძე) ამ ვერსიას უარყოფდნენ...დადგინდა," რომ ეს იყო ბუნების ჯერ კიდევ ამოუხსნელი მოვლენა",(ზუსტად ასე ეწერა გაზეთში) მე კი ავდექი და კვლევა გავაგრძელე...ჩემი თეორია დროში გადასასვლელის შესახებ მოვარგე ამ ამბავს! დავიწყე გადასასვლელის დაუღალავი ძებნა და აჰა,ეს კიბე ვიპოვე,ყველასთვის შეუმჩნეველი, მიტოვებული ხის კიბე...

ინტუიციამ მიკარნახა–რაც უნდა მექნა:ფრთხილად თითო საფეხურით ჩავდიოდი დაბლა,ყოველ საფეხურზე ვჩერდებოდი და ველოდი–რა მოხდებოდა...პირველი საფეხური ჩავიარე...მეორე...მესამე...არაფერიც არ შეიცვალა,ხოლო მეცხრეზე...

ირაკლი

რა მოხდა მეცხრეზე?

კალმახელიძე

წარსულში აღმოვჩნდი! ზუსტად ოცი წლით ადრე!

ირაკლი

არ შეგეშინდათ, ბატონო ნუგზარ?

კალმახელიძე

საერთოდ,ეს მოგზაურობა საკმაოდ საშიშია,შეიძლება გადასასვლელი ჩაიკეტოს და ვეღარ დაბრუნდე...თუმცა ჩემი გამოანგარიშებით,ეს ას წელიწადში ერთხელ ხდება.ასე რომ...

ირაკლი

რომ ჩაიკეტოს რა ვქნა მერე?

კალმახელიძე

შეგეშინდა მეგობარო? არ ჩაიკეტები, მე ხშირად დავდივარ...თუ მაინცდამაინც რამე მოხდა,არც ეგ იჯავრო–ფული ხომ გექნება თავზე საყრელი? წადი სხვა ქალაქში და იქ იცხოვრე...

ირაკლი

რატომ მაინცდამაინც სხვა ქალაქში?

კალმახელიძე

რა ვიცი ...შენს თავს რომ არ შეხვდე!

ირაკლი

ახლა მეუბნებით მაგას ბატონო ნუგზარ? არა, მე გადავიფიქრე!

კალმახელიძე

არავითარი გადაფიქრება! წადი...დანარჩენს თვითონ მიხვდები...

ირაკლი

კარგი,წავალ–სხვა რა გზა მაქვს? იქნებ,ახლა მაინც გამიმართლოს! რატომ მაინცდამაინც მეცხრე საფეხურზე?

კალმახელიძე

გრძელი სასაუბროა...უბრალოდ გაიხსენე:ცხრა მთა, ცხრა ზღვა,ცხრა წყარო...ეზოთერული ამბებია!

ირაკლი

გასაგებია,ესე იგი, ეს სიტყვები მხოლოდ ფოლკლორი არ არის...გზა დამილოცეთ,ბატონო ნუგზარ,წავედი...(ფრთხილად ჩაუყვება საფეხურებს,მეცხრე საფეხურზე შეცჩერდება)

2 0 1 1 წ

(ირაკლის მანქანის სალონი.)

თ ე ა

მაინც, რა მოხდა ასეთი, იმ მეცხრე საფეხურზე?

ირაკლი

მეგონა იელვებდა, იჭექებდა,მაგრამ არც არაფერი მოხდა...ავიხედე უკან–კალმახელიძე აღარ ჩანდა,წასულიყო..."გამასულელა"! ასე ვიფიქრე,რაში დასჭირდა ამ ხნის კაცს? უცებ თერთმეტსართულიანის თავზე წარწერა დავინახე"დალიეთ ქართული ჩაი".ეს რეკლამა კარგა

ხანი არ შემიმჩნევია...ყურადღებით მიმოვიხედე და წითელი ტრანსპარანტი დავინახე,წარწერით:" დიდება ს.კ.კ.პ"

თ ე ა

ეგ რას ნიშნავს?

ირაკლი

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

თ ე ა

ესეიგი, წარსულში რეალურად მოხვდით? მე მაინც მეგონა –ალეგორიულად ამბობდით, ეს ხომ ფანტასტიკაა!

ირაკლი

დაბლა ჩავედი და ბორდიურიდან ტროტუარზე ჩავხტი...ვხედავ, მწვანეშუქიანი ტაქსი

მოდის–ყვითელი "ვოლგა." ასეთიც კარგა ხანი აღარ მენახა...ავდექი და ხელი დავუქნიე."საბურთალო'! დამიძახა მძღოლმა,საბურთალოზე არ მინდოდა, მაგრამ უცებ გადავწყვიტე თბილისისთვის წრე დამერტყა... (ირაკლის საუბარს მოქმედების აღმწერი კადრები ედება)

1 9 7 3 წ

ირაკლი და ტაქსისტი გარიკა.

ირაკლი

გამარჯობა!

გარიკა

ვა, ეს რა რეტრო რამეები გაცვია, გე პე ი–ს ჯაზში უკრავდი?

ირაკლი (ჩაცმულობას შეათვალიერებს)

აა,ორბორტიანი პიჯაკი რო მაცვია,იმიტომ გგონია ჯაზში ვუკრავ?

გარიკა

ან კინოში გიღებენ! აბა ახლა ეგრე ვიღა იცმევს? "პაბედები','სტილიაგები" რამე–რუმე...

ირაკლი

შენ რა გქვია?

გარიკა

გარიკა...

ირაკლი

გარიკ, ერთი ჯერ თავისუფლების მოედანზე გამატარე...

გარიკა (გაოცებით)

ეგ არ ვიცი...ეგ სად არი? თავისუფლება.. ეგეთი მოედანი არ გამიგია ..."ხლებნი პლოშადი" გამიგია."ჩერქეზოვის გამიგია, ვარანცოვის გამიგია...

ირაკლი

ლენინის მოედანი ხომ გაგიგია? იქ წადი!

გარიკა

ძმაკაც,ხომ გითხარი საბურთალოზე მივდივარ, მეთქი...პერერივი მაქვს...

ირაკლი

კარგი, იქედან დავიწყოთ– მერე წამოვიდეთ,100 მანეთს მოგცემ!

გარიკა (დაამუხრუჭებს მანქანას)

სირიოზნა?

ირაკლი (სიცილით)

სირიოზნა გარიკჯან,სირიოზნა! რადიო ჩართე!

გარიკა (რადიოს რთავს,ისმის სიმფონიური მუსიკა)

კამუნისტებს ეგეთი მუსიკა აქვთ ვეჩნად რადიოში და ბრეჟნევის გამოსვლა–მეტი არაფერი!

ირაკლი

ვა,გარიკ არ მოგწონს კომუნისტები?

გარიკა (ეჭვით,ფრთხილად)

შენ რა კაგებეშნიკი ხარ?

ირაკლი

რა მეტყობა? შენ მაგარი დისიდენტი ყოფილხარ,აი!

გარიკა

ეგ სიტყვა იმას არ ნიშნავს,სხვანაირად რომ ფიქრობენ?

ირაკლი

ჰო...

გარიკა

უმეტესობა ჩემნაირად ფიქრობს,გამოდის, რომ დისიდენტები ეგენი არიან–სხვანაირად ფიქრობენ!

ირაკლი (სიცილით)

ფილოსოფოსი ყოფილხარ ,ტაქსისტი კი არა...გარიკ, ეს რა მშენებლობებია?

გარიკა

მხატვრები და სხვა ფულიანები კერძო სახლებს იშენებენ...

ირაკლი

რა ღირს ასეთი სახლი?

გარიკა

გავაჩეროთ და მუშებს ვკითხოთ!

ირაკლი (გადმოდის მანქანიდან,მშენებლებს მიუახლოვდება)

მშვიდობა აქაურობას!

მუშა

ღმერთმა მოგცეთ მშვიდობა!

ირაკლი

ვისია,ხომ ვერ მეტყვით, ეს სახლი?

ამბაკო ცერცვაძე

ჩემია, რა გნებავთ ბატონო?

ირაკლი

თქვენი სახელი?

ამბაკო

ამბაკო...ამბაკო ცერცვაძე...

ირაკლი

რა ღირს ახლა ეს სახლი, ბატონო ამბაკო?

ამბაკო

მე არ ვყიდი, მაგრამ დასრულებული, ოცდაათი ათასი მაინც ეღირება!

ირაკლი

რამე რომ იყოს,კიდევ ერთ სახლს ვერ აიშენებთ? გვერდით–ჩემი მეზობელი იქნებით!

ამბაკო

არ მესმის თქვენი! რატომ უნდა ავაშენო ახალი სახლი? არ მესმის!

ირაკლი

მე ეს დამითმეთ და თქვენთვის უკეთესი აიშენეთ.

ამბაკო

თქვენ თვითონ აიშენეთ ბატონო, აიღეთ ნებართვა აღმასკომში,დაამტკიცეთ პროექტი ...თქვენ რა, მთვარეზე ცხოვრობთ?

ირაკლი

ოთხმოცი ათასს მოგცემთ...რემონტიანად!

ამბაკო

რამდენს?

ირაკლი

მაგრამ ერთი პირობით...თქვენ უნდა დაწეროთ ანდერძი ჩემს სახელზე..ეს ანდერძი უნდა გადასცეთ ოცი წლის ბიჭს , ჩემს მოსახელეს და მოგვარეს,ნოტარიუსთან წაიყვანთ და გააფორმებთ, მე მერე ჩამოვალ და შევამოწმებ–თუ როგორ შეასრულეთ პირობა!თანახმა ხართ?

ამბაკო (პირჯვარს გადაიწერს)

თანახმა ვარ...მთელი დღე აქ ვიქნები ხვალ და მოვიდეს...ფულს ვინ მომცემს?

ირაკლი (მანქანაში გახსნის "დიოლომატს, ფულს ამოიღებს)

აი,ეს ოთხმოცი ათასი,ამ ათი ათასით კი ავეჯი იყიდე,ორივესთვის, ტელევიზორი არ გინდა –მე ჩამოვიტან საზღვარგარეთიდან! ესე იგი, ხვალ ირაკლი ჩიქოვანი მოვა თქვენთან...ხვალ თუ არა– ამ დღეებში მაინც....

ამბაკო

როცა უნდა, მაშინ მოვიდეს...მაგ სახელს და გვარს რა დამავიწყებს! ვისი შვილი ბრძანდებით, მამათქვენს არ ვიცნობ?

ირაკლი

მამა ბავშობაში დავკარგე–არ გეცოდინებოდათ...

ამჯერად ეს ინფორმაცია ვიკმაროთ,თქვენი იმედი მაქვს,რატომღაც მჯერა–არ გამიცრუებთ!

ამბაკო

ღმერთის მოგზავნილს იმედს არ უცრუებენ!

ირაკლი

აგაშენათ ღმერთმა!

2 0 1 1 წ.

ირაკლი და თეა კაფეში.

თ ე ა

ის თქვენი მოსახელე და მოგვარე ვინ იყო?

ირაკლი

მე ვიყავი თვითონ! ჩემს თავს დავურეკე–ოცი წლის ასაკში...კინაღამ ჭკუიდან გადავედი, საკუთარი ხმა რომ გავიგონე!

თ ე ა

ამეღამ რა დამაძინებს,არ ვიცი! რომც მატყუებდეთ,მაინც მომწონს, მაგარი ფანტაზია გაქვთ...

ირაკლი

გამახსენდა, რომ იმ დროს მოსკოვის საავადმყოფოში იწვა ჩემი ბიძა–ნოდარი,რომელიც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა...ვითომ ის ვიყავი... ვუთხარი, რომ მე მას ვჩუქნი სახლს და უნდა მისულიყო ამბაკო ცერცვაძესთან პასპორტით ,ნოტარიუსის საბუთი კი კარგად შეენახა...

თ ე ა

რა თქვა, გაუხარდა?

ირაკლი

ოცი წლის ასაკში გგონია,რომ ოცი წელი არასოდეს გავა,ამიტომ ძალიან არ გახარებია, თუ არ "გამხარებია"– ისე ყასიდათ მითხრა მადლობა. მოიკითხა ჩემი ჯანმრთელობის ამბავი და

შემპირდა, რომ აუცილებლად მივიდოდა ამბაკო ცერცვაძესთან...

თეა

ეს ის სახლია, სადაც ჩვენ ვიყავით?

ირაკლი

ჰო, ეგ სახლია...ნამუსიანი კაცი იყო ბატონი ამბაკო,კარგად ააშენა!

თ ე ა

რატომ "იყო"? –აღარ არის?

ირაკლი

აქ აღარ არის:ჩვენს დროში..იქ კი არის, ვნახე ერთი–ორჯერ... ,

თეა

ნუ შემშალეთ!

ირაკლი

ალბათ გაინტერესებთ, რა მოხდა მერე...ასი მანეთი გარიკას ვაჩუქე,მივაყვანინე თავი ცირკთან, დავემშვიდობე,სხვათაშორის ძალიან დავვახლოვდით–სულ მელოდება...ქვემოდან ზევით ავუყევი კიბეს,დავდექი მეცხრე საფეხურზე და ისევ ჩაბნელებულ,უკაცრიელ თბილისში აღმოვჩნდი, ანუ ჩემს რეალურ დროში.ბატონი ნუგზარი მანქანით მელოდა... პირველი, რაც თავში მომივიდა–ის იყო, რომ გავექანეთ ნუცუბიძის ქუჩისკენ,ჩემი სახლის ნახვა მეჩქარებოდა! მივედი სახლთან,
ზარი დავრეკე,კარი გაიღო და იცი, ვინ გამოვიდა?

თ ე ა

ვინ?

ირაკლი

ნათია! ჩემი ნათია! რომელიც იმ დილით სადღაც სოროში დავტოვე,საღამოს კი აქ დამხვდა! გიჟივით ავირბინე კიბე...ნათიას გადავეხვიე, ვკოცნე დაუსრულებლად, მან კი ვითომც არაფერი–ისე მითხრა:

1 9 9 3 წ

ნათია

რა დაგემართა ირაკლი?კიდევ მთვრალი მოხვედი?

ირაკლი (გაოცებით)

კალმახელიძე

ამ ვარიანტში შეიცვალა რაღაც–რაღაცეები,როგორც ხედავ...მაგრამ,რაც გინდოდა–ის მიიღე!

(ირაკლი სახლში " შეიჭრება" ყველაფერს ათვალიერებს,მოირბენს ოთახებს,აბაზანას,აივანზე გადის,უკან ბრუნდება,ჰოლში სიმამრი გაზეთებს ათვალიერებს)

სიმამრი

საღამო მშვიდობისა ირაკლი, რა მოხდა, რას ეძებ?

ირაკლი

არაფერს, არაფერს...გასაღები გამეზნა და ვიპოვე...

ნათია

მოდით, ვივახშმოთ,! ირაკლი, რაღაც ვერ გცნობ,მიხედე სტუმრებს!

კალმახელიძე

მე– რა სტუმარი ვარ თქვენთან?

ირაკლი

ესე იგი, თქვენ კაი ხანია ერთმანეთს იცნობთ?

კალმახელიძე

ასე გამოდის...შენ რა წინააღმდეგი ხარ?

ირაკლი

არა...უბრალოდ შოკში ვარ...კარგი, დავსხედით...(სუფრას თვალს მოავლებს) ესე იგი, არა უშავს რა ვცხოვრობთ...

ნათია

არ დაგავიწყდეს, ტრადიციულად, უფლის სადიდებლის შემდეგ, ნოდარი ბიძიას სადღეგრძელო შესვით...მან ხომ ეს სახლი დაგიტოვა...

ირაკლი

მართლაც, დაილოცოს მისი განგება და ის ხალხი, ვინც მის ნებას განახორციელებს,ბიძაჩემი იქნება ეს თუ ბატონი ნუგზარი...

კალმახელიძე

მე რა შუაში ვარ...

ირაკლი

შუაში კი არა– თავში ხართ,თქვენ რომ არა... არ ვიცი, რა მეშველებოდა...(შესვამს)

2 0 1 1 წ

რედაქციის ოფისი.ჟურნალისტთა შეკრება.

კახა

აბა, მიამბეთ, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ბატონმა ირაკლიმ, ძალიან მობერებულია?

თეა

რას ამბობთ, ისეთი კაცია..ფანტასტიკაა!

კახა

მის ერუდიციას გულისხმობ, ალბათ...

თ ე ა

ყველაფერს: ერუდიციას,გარეგნობას მანერებს...მე უბრალოდ აღფრთოვანებული ვარ ამ ადამიანით!

კახა (შეკრებილთ მიმართავს)

საქმე სერიოზულადაა...

ლადო

კი...

თეა

აი მაგალითად,თქვენ რომ უცხოპლანეტელთან გაგეშვით ინტერვიუზე,ასეთი აჟიტირებული არ ვიქნებოდი!

ჟურნალისტები (აქეთ იქედან)

რა იყო ასეთი? რას ამბობდა ის მოხუცი?

ვატო

მოხუცი კი არა...

თ ე ა

მე დამხვდა ორმოციოდე წლის უსიმპათიურესი და უჭკვიანესი მამაკაცი...

ლადო (სიცილით)

უუფულესიც დაამატე...

კახა

დავიბენი: თუ "ორერას' და "ბითლზებს" იცნობდა– იმ თაობის უნდა იყოს და რაც არ უნდა კარგად გამოიყურებოდეს,ასაკი მაინც დაეტყობა! რაიმე ბლეფი ხომ არ არის?

თეა

ასე ამბობს– წარსულში ვმოგზაურობო...

ვატო

და ისეთ ამბებს ჰყვება 1972 წლის კონაკის,"ენისელის" თანხლებით–შეიძლება გაგიჟდე...

კახა

ესე იგი, მარტო ქალი კი არ გაუგიჟებია, არამედ–მამაკაცებიც! აი,ეს უკვე საქმეა!დიდი სკანდალის სუნი მცემს! ტირაჟი გაიზრდება...თუ ყველაფერი კარგად წავიდა– ფილმსაც გავაკეთებთ! ექსკლუზივზე დაითანხმეთ?

თეა

მხოლოდ ერთი თვით, ასე გვითხრა– დიდი ფული დაგიჯდებათ ჩემი ექკლუზივიო...

კახა

მაგარი პროდუქტო ყოფილა! არ მოეშვათ, ლიმონივით გამოწურეთ!

თეა

ერთი–ორჯერ კიდევ მოგვიწევს მისვლა...მართლაც ძლიერი მასალა გამოვა!

კახა

პოლიტიკაზეც ესაუბრეთ,კურიოზებზეც...თუმცა, თავად კურიოზი არ ყოფილა? "დავაწვენთ კონკურენტებს!

1 9 9 3 წ

ირაკლის სახლი.საწოლი ოთახი.ირაკლი და ნათია საწოლში.

ნათია

ვაჟამ დარეკა...

ირაკლი

სად დარეკა :"აქ" თუ "იქ" ?

ნათია

რა დალიე ესეთი, წინათ კარგად იტანდი სასმელს!

ირაკლი

რაო, რა თქვა?

ნათია

ძალიან მეცოდება, ლამის იტირა კაცმა..ვიღუპებიო...მერე ვიღაც რუსულად ჩამძახოდა" ვ პონედელნიკ ტრუპომ ბუდეტ ვაშ დრუგო"
რამე მოიფიქრე?

ირაკლი

მოვიფიქრე! დღეს რა დღეა? ხუთშაბათი...მატარებლით რომ წავიდე–შაბათს იქ ვიქნები. (ტელეფონის ზარი) ჰო,ვაჟა, გისმენ....

ვაჟა (ხმა) ,

ირაკლი, სიტუაცია ცოტათი უკეთესობისკენ შეიცვალა,ფული ხომ გაფუჭდა? ესენი ფულის გაცოცხლებას მთავაზობენ, იპოვე ვინმე ფულიანი და იმასაც ეშველება და ჩვენც!

ირაკლი

ნაპოვნი მყავს უკვე...ჩამოვალ და დაგიხსნი, ნუ გეშინია!

ვაჟა

აუ, შენ გენაცვალე ჯიგარში,კაცი ხარ!... კაცი კიარა, ჩემი ღმერთი ხარ! როდის მოფრინავ?

ირაკლი

თვითმფრინავს ვერ ვენდობი...ხან ნავთი არა აქვთ, ხან რაღაც უფუდებათ...
მატარებლით წამოვალ, ორ დღეში მანდ ვიქნები. ერთი ეს მითხარი :რა ჰქვია მაგ განგსტერს?

ვაჟა

სტიპან პანკოვი! ჩვენი ტოლია,არბატზე, მაგარ ოჯახშია გაზრდილი,მაგარი განათლებულია...

ირაკლი

რამ გააბოროტა ასე?

ვაჟა(სიცილით)

რა ვიცი–ცხოვრებამ!

ირაკლი

მოკლედ,მოვდივარ!

1 9 5 3 წ

გალაკტიონი წერილს წერს თავის ძმას.

ძმაო, აბესალომ! საოცრებები ხდება ჩემს თავს...ერთი კაცი დამიახლოვდა– კალმახელიძე...მომავლიდან ვარო– მეუბნება...გესმის? არ დაიჯერებ – ვიცი,არც მე მჯერა,მაგრამ საათი მაჩვენა ისეთი–ისრები არა აქვს,ელექტრონით მუშაობს,წარმოგიდგენია? ამბებს მიყვება–ჭკუიდან გადახვალ! რაც მთავარია:ჩემი ლექსები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა...

ჩემი ლექსი მარტო ლექსი კი არაა, არამედ მომავალს ჭვრეტს ბევრ შემთხვევაში...შთამომავლობა გაშიფრავს მათ... ახლა უფრო გამიმძაფრდა მარტოობის განცდა...სულ ამ კაცს ველოდები, რათა მომავლის ამბები გავიგო! ეს წერილი წაკითხვისთანავე დაწვი! ვნახოთ, ძმაო– რა მოხდება...

შენი გატუნია

2 0 1 1 წ

ირაკლი ჩიქოვანის სახლი.ინტერვიუს მეორე დღე.

თეა

ჩვენ მზად ვართ, ბატონო ირაკლი, შგვიძლია დავიწყოთ!

ირაკლი

თეა,მოდი ირაკლი დამიძახე...

თ ე ა

მხოლოდ ერთი დღეა, რაც გიცნობთ...

ირაკლი

სამაგიეროდ, იმდენი რამე იცი უკვე ჩემს შესახებ–ნათიამაც არ იცოდა.

თეა

ნათიასთვის არ გითქვამთ ეს ამბები?

ირაკლი

არა! ისე მოხდა– სულ ვუმალავდი,გეგმები რომ არ ჩამშლოდა,იმიტომ ვუმალავდი,მერე კი საერთოდ წასულა...მგონი ამერიკაში.

თეა

კარგი,გავაგრძელოთ ინტერვიუ! ესე იგი,მოსკოვში გაემგზავრეთ,რათა მეგობრის გამოსასყიდი თანხა ჩაგეტანათ...

ირაკლი

პირველად მეც ასე ვფიქრობდი,მაგრამ როცა იმ დილით აბაზანაში შევედი და შხაპის ქვეშ დავდექი,გონება გამინათდა და საოცარი გეგმა დავსახე! არ ვიცი, ის ფული მენანებოდა თუ არა,(უფრო ინტერესი ალბათ)
მაგრამ მაგარი გეგმა კი მომივიდა თავში!

ლადო

შეგიძლიათ დაიწყოთ!

ირაკლი

ასე არა, ჯერ ეს "ვარციხე" დავაჭაშნიკოთ..სამოცდაცამეტ წელს ჩამოსხმული...შევარდნაძე მჟავანაძის მაგივრად ცეკას მდივანი როცა გახდა,კორუმპირებულთა დაჭერა დაიწყო...ხალხმა ასე გაშიფრა ამ კონიაკის სახელწოდება:ვარ– ციხე! მჟავანაძის დროს (რომელიც არავის იჭერდა) კონიაკი "ვარძია" გამოდიოდა.ვარ–ძია! მოდით,ბიჭებო,ჩვენთვის მოცემულ დროს გაუმარჯოს!– ყველაზე გამოუცნობ განზომილებას,გაფრთხილდით,დააფასეთ და თან ერიდეთ!

თეა

ესე იგი, ახალი გეგმა დასახეთ...

ირაკლი

შხაპის ქვეშ მოვიფიქრე, რომ პანკოვი 1993 წლის ივნისის ერთ კვირა დღეს კი არ მენახა, არამედ იქ,წარსულში, 1973 წელს,როცა ოცი წლის იყო...მინდოდა გამეცნო,რათა გამეგო– თუ რა ხალხისგან იძერწებიან ეს ბანდიტები...თანაც, ოცი წლის ბიჭის დამარცხება გაცილებით იოლია,განსაკუთრებით–იმ წლებში.

თეა (შეშფოთებით)

ლიკვიდაციას უპირებდით?

ირაკლი

თბილისში ჩამოვიყვანდი ,პატივს ვცემდი,პრიბლემებს მოვუხსნიდი და რა თქმა უნდა, მოსკოვისათვის ლიკვიდირებული იქნებოდა! მისი ისტორია ისე შეიცვლებოდა,(როგორც ჩემს შემთხვევაში მოხდა) რომ 1993 წელს ვაჟას აღარ მოკლავდა!

ლადო

გენიალური აზრი მოგსვლიათ,მაგრამ მოსკოვში იმდენი სტიოპა პანკოვია–თქვენსას ვერ იპოვიდით!

ირაკლი

აი, ჭკვიანი კაცი! ეს გავითვალისწინე: ვაჟას ვკითხე,თუ რომელი უბნელი იყო სტიოპა და

საერთოდ რას წარმოადგენდა...აღმოჩნდა, რომ მცველებმა უსაქმურობის ჟამს(თრობისას,) მას ყველაფერი უამბეს: პანკოვი არბატზე გაზრდილა,მამა გენერალი ჰყოლია და სამხედრო სასწავლებელში შესვლას აძალებდა. ამას კი ერთი გოგონა ჰყვარებია,სახელად, ნატაშა. სამხედროში რომ წასულიყო,ნატაშა გათხოვდებოდა... მამამ ჯერ ჯარში გაუშვა ურჩი შვილი...ნატაშა კი მის მეგობარს თუ კლასელს გაჰყოლია ცოლად...ჩამოსულა პანკოვი ჯარიდან და მოუკლავს იმ ნატაშას ქმარი...მერე ციმბირი,კოლონიები,მოკლედ,ციმბირის მგელი გამხდარა..".აჰა– ვიფიქრე მე–ესე იგი, მარტო ვაჟას კი არა–იმ პანკოვსაც შველა უნდა, იმ ნატაშასაც და იმ უბედურსაც, რომელიც იმ დღისთვის ,კარგა ხნის მკვდარი იყო!

თეა

განიალური ჩანაფიქრია! მაგრამ..რატომ არ გაფრინდით, მაინც ვერ გავიგე...

ირაკლი

საბჭოთა პასპორტი არ მქონდა... ჰოდა,გადავედი ისევ 1973–ში,მივედი რკინიგზის სადგურში(მაშინ ძველი შენობა იყო)ავიღე ბილეთი,გაზეთები,მოვძებნე ჩემი ვაგონი და ადგილი, "დიპლომატი" საწოლის ქვეშ,საბარგულში ჩავდე და მოვკალათდი...

როცა მატარებელი დაიძრა, შემოვიდა გამცილებელი და ბილეთი მომთხოვა...და იცით, ვინ იყო?

ლადო,ვატო, თეა (ერთხმად)

ვინ? ვინ იყო?

ირაკლი

ვინ და...ჩხარტიშვილი,რომლის ფულსაც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც– ზემოდან ვაჯექი...

1 9 7 3 წ

მატარებლის კუპე.

ჩხარტიშვილი

თუ შეიძლება, ბილეთი წარმომიდგინეთ!

ირაკლი

ინებეთ,ბატონო ჩემო...

ჩხარტიშვილი

მოსკოვში, არა?

ირაკლი

ჰო, მოსკოვში მივდივარ!

ჩხარტიშვილი (მიმოიხედავს)

ბარგი ჩადეთ უკვე?

ირაკლი

არავითარი ბარგი არა მაქვს...

ჩხარტიშვილი

ესეიგი, სავაჭროდ მიდიხართ!

ირაკლი

საიდან დაასკვენით?

ჩხარტიშვილი

ასე შვება ყველა მოვაჭრე– აქედან მხოლოდ ფული მიაქვთ და იქედან 10 ჩემოდნით ბრუნდებიან,მერე აქ ადგილები არ არის და საშველად მე მომმართავენ...ასეა ჩემო კარგო,ყველაპროფესიას თავისი ფილოსოფია აქვს!

ირაკლი

საშველად მოგმართავენ და ფულს შემოგთავაზებენ,არა?

ჩხარტიშვილი

თქვენ ორგანოს თანამშრომელი ხომ არ ბრძანდებით?

ირაკლი

არა,მე სცენარისტი ვარ,ყველა პროფესიას თავისი ფილოსოფია აქვს–ასე არ არის?

ჩხარტიშვილი

საინტერესო კაცი ჩანხართ,მერე შემოვივლი–დასალევით...

ირაკლი

გელოდებით!

1 9 5 3 წ

ძველებური სადარბაზოს კიბეები.გალაკტიონი სადარბაზოს კარს შეაღებს,საფოსტო ყუთს შეათვალიერებს...კალმახელიძეც ფეხდაფეხ მიჰყვება მას.ხმადაბლა–ისე,რომ არ შეაშინოს, ჩაილაპარაკებს:

კალმახელიძე

ნეტავ, რა წერია მაგ გაზეთში?

გალაკტიონი (ნელა შემოტრიალდება)

მაინტერესებს,რა ხდება ქვეყანაზე...

კალმახელიძე
"დიად საბჭოეთს" თუ გულისხმობ–ბერიას დაიჭერენ ხვალ!

გალაკტიონი (საფეხურზე დაეშვება)
სსს,,,სუ! ასეთი ხუმრობისათვის, გაციმბირება არ აგვცდება!

კალმახელიძე (გაზეთს ამოიღებს პიჯაკის ჯიბიდან)
აი,წაიკითხე, ხვალინდელი "კომუნისტია"...

გალაკტიონი (კითხულობს)

ნიღაბი ჩამოხსნეს ხალხის მტერს,იმპერიალიზმის აგენტს,ლავრენტი ბერიას...სად იშოვე ეს გაზეთი?

კალმახელიძე
საჯარო ბიბლიოთეკაში ავიღე "იქ"–ჩვენთან!

გალაკტიონი (გაოცებული)

გამოგატანეს?

კალმახელიძე
ძაღლი პატრონს ვერ ცნობს –ისეთი ამბავია! ფულს თუ მისცემ,რუსთაველის ხელნაწერი რომ ჰქონდეთ–იმასაც გამოგატანენ...

გალაკტიონი(ჩაფიქრებული)
ესე იგი...ბერიას ბოლო დღეა?გამოუცნობია უფალო, შენი გზები!

ჩეკისტი (სადარბაზოსთან ჩაივლის, სადარბაზოში შეიხედავს, სიტუაციას "შეისწავლის")
გამარჯობა, ამხანაგებო !
გალაკტიონი (ჩავლილ ჩეკისტს თვალს გააყოლებს)

გამარჯობა...ამასაც მიაყოლებენ?

კალმახელიძე
ამასაც...ყველას მიაყოლებენ და...ხრუშჩოვიც მოვა!

გალაკტიონი
ვინ ხრუშჩოვი? სულელი ნიკიტა?კაი, ყველაფერს ერთად ნუ მეტყვი–გავაფრენ კაცი!

კალმახელიძე (სიცილით)

"იგი მხოლოდ გაფრენა–არის შემოქმედება!" ასე არ არის,გალაკტიონ?

1 9 9 3 წ .

მატარებლის კუპე.ბოთლით ხელში შემოდის ჩხარტიშვილი.

ჩხარტიშვილი

თქვენი სახელი ბატონო ჩემო?

ირაკლი

მე ირაკლი მქვია,ბატონო ვახტანგ!

ჩხარტიშვილი (გაოცებით)

საიდან იცით ჩემი სახელი?

ირაკლი

გულთმისანი ვარ...

ჩხარტიშვილი (ღიმილით)

გამოვიცანი! ალბათ, ადრეც იმგზავრეთ ჩემი ვაგონით...მაგრამ ეტყობა–მაშინ არ დაგვილევია,იმიტომ,რომ ვისთანაც დამილევია–ის არ მავიწყდება, ყველას სახე მახსოვს!

ირაკლი

ასეთი მახსოვრობა თუ გაქვთ–თქვენ ყოფილხართ ორგანოს თანამშრომელი!

ჩხარტიშვილი

ეს გურული არაყია–სოფლიდან გამოგზავნილი.გურული კაცი ვარ მე!

ირაკლი (დაყნოსავს არაყს)

კილოზეც გეტყობათ და...არაყზეც,რამდენი გრადუსია?

ჩხარტიშვილი

რა ვიცი მე...ქვეყნის!–პირდაპირ " ჩერდაკში" ურტყამს!

ირაკლი

აბა,მოდით,ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! (გადაჰკრავს)
ოოო...თოფია..მოკლედ,სპეკულიანტი გეგონეთ, არა?

ჩხარტიშვილი

აბა, უბარგოდ იშვიათია მგზავრი!

ირაკლი

ფული მიდევს აგერ,1000 მანეთი მარცხენა ჯიბეში და ორი დღე როგორმე მეყოფა მოსკოვში...

ჩხარტიშვილი

ათასი მანეთი მოსკოვში სამი თვე გეყოფა! რესტორნებში ივლი ქალთან ერთად, თეატრებში,ათასი მანეთი მომცა ახლა? მე ვიცი,რასაც ვიზამ!

ირაკლი

მაინც–რას იზამ?

ჩარტიშვილი

რაც გითხარი: ვიგულავებ! თან,ცოტას გადავინახავ–შავი დღისთვის!

ირაკლი (შემპარავად)

აი,ვინმემ ათასი მანეთი რომ მოგცეს ახლა, იმ პირობით,რომ ოცი წლის შემდეგ მილიონს არ მოსთხოვ–დათანხმდები?

ჩხარტიშვილი

დავთანხმდები! ოცი წლის შემდეგ თუ ვიქენი– ასეთი ჯანმრთელი მაინც აღარ ვიქნები და... ახლა" ვიგულაო"– არ ჯობია? მოდი,ჯანმრთელობას გაუმარჯოს!

ირაკლი

მთავარი–მაინც ბედია!"ტიტანიკში" იცი, რამდენი ჯანმრთელი იყო? მაგრამ მხოლოდ ის გადარჩა–ვისაც ბედი ჰქონდა!

ჩხარტიშვილი (სიცილით)

მართალს ჩივი ხომ იცი! ჰოდა,ბედი რომ მქონდეს–ქე ავიღებდი მაგ პირობით ათას მანეთს...დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს...

ირაკლი

რაიმე ბლანკიანი ქაღალდი გაქვს?

ჩარტიშვილი

ქვითრები მაქვს თეთრეულის..მაგის მანეთი ჯერ არ მოგიციათ..

ირაკლი

აჰა, შენ ლენინისთავიანი ათმანეთიანი და ცარიელი ქვითარი წამოიღე...ხურდა არ მინდა! (ვახტაგი გადის.ირაკლი დიპლომატს ამოიღებს,ფულს გადათვლის და ჯიბეში ჩაიდებს,შემოდის ვახტანგი)

ჩხარტიშვილი

აი, თქვენი ქვითარი!

ირაკლი

ამ ათასს მანეთს უმალ მიიღებთ ჩემგან,როგორც კი კონტრაქტს შევადგენთ! აბა დაწერეთ–რასაც გიკარნახებთ..

ჩხარტიშვილი

მაჩვენეთ ეგ ფული,ყალბი ხომ არაა?

ირაკლი

რა მოგება უნდა მქონდეს თქვენი მოტყუებით? ვის რაში ჭირდება თქვენი ქვითარი?

ჩხარტიშვილი

ცამდე მართალი ბრძანდებით, გისმენთ,ტექსტი მიკარნახეთ!

ირაკლი

მე,ვახტანგ ჩხარტიშვილი (ჩხარტიშვილი გაოცებით ამოხედავს ჩიქოვანს.შემდეგ წერას გააგრძელებს) ვდებ პირობას, რომ 1000 მანეთის სანაცვლოდ,რომელიც მივიღე მოქალაქე ირაკლი ჩიქოვანისაგან,არასოდეს არ მოვითხოვო მისგან მილიონი მანეთი,ან სხვა თანხა.ხელი მოაწერეთ და ეგ ქაღალდი მომეცით,ეს კი თქვენი ჩემგან–შეპირებული 1000 მანეთია! (ჩხარტიშვილი სწრაფად გადათვლის ფულს)

ჩხარტიშვილი

სიზმარში მგონია თავი! მეხუმრეთ ხომ,ბატონო ირაკლი?

ირაკლი

არა! მინდა ერთი ბედნიერი კაცით მეტი დადიოდეს ქვეყანაზე...

ჩარტიშვილი

კიდე ერთ ბოთლს მოვიტან!

ირაკლი

მოიტა! (ვახტანგი გადის.გვერდით კუპედან სიმღერა მოისმის.ირაკლი მათ კუპეში შედის. ორი გოგონა და ერთი ახალგაზრდა მღერის)

ირაკლი

ისე მომეწონა თქვენი სიმღერა,რომ ვეღარ მოვითმინე და შემოვედი... საიდანა ხართ, მეგობრებო?

ბიჭი

მოსკოვიდან,ვისიოლაიაში ვისვენებდით და სახლში ვბრუნდებით...

ირაკლი

აბა ერთი,ეგ გიტარა მათხოვეთ! (ირაკლი მღერის)

გოგონები
რა კარგი სიმღერაა! რა ლამაზია,ქართულია?

ირაკლი
დიახ,ქართულია,თქვენ მოგიძღვენით–მშვენიერ არსებებს!

ბიჭი
ესე იგი, ავტორი ბრძანდებით?

ირაკლი (სიცილით)
არა,მაგრამ ავტორს წარმოვადგენ თქვენს წინაშე.ერთი წუთით დაგტოვებთ და რაღაცით მოვალ! (ირაკლი გადის)

გოგონა
რა სიმპათიური მამაკაცია ,არა?

ბიჭი
ნატაშა, ნუ მაეჭვიანებ,თორემ ხომ იცი ჩემი ხასიათი...

11 გოგონა
ნატაშენკა,შენ დაკავებული ხარ, ამ კაცს– მე ვეფლირტავები! სტიოპა,ხომ მართალი ვარ? მე ალიონა ვერტინსკაია არ ვიყო, თუ ეს ქართველი არ გავაგიჟე....

ნატაშა
ქართველის გაგიჟებას რა უნდა–კაბა დაანახე და...მორჩა!

სტიოპა
კარგი! გაჩუმდით,მოდის...

ირაკლი
აი, ეს გურული ჭაჭაა.პირდაპირ "ჩერდაკში" ურტყამს–როგორც თქვენში იტყვიან! გამცილებელი "ბორჯომს" და სხვა რაღაცეებს მოიტანს...მოდით,გავიცნოთ ერთმანეთი: მე მქვია ირაკლი ჩიქოვანი,თქვენ?

სტიოპა

მე სტეპან პანკოვი ვარ,ეს ნატაშაა,ეს კი –ალიონაა,ჩვენი მეგობარი!

ირაკლი

სტეპან...ანუ სტიოპა,არა? რომელი უბნელი ხარ ახალგაზრდავ?

სტიოპა

ძველ არბატზე ვცხოვრობ...

ირაკლი

ოო,ეს ფრიად საინტერესოა,ესე იგი თქვენ სტიოპა პანკოვი ხართ,ეს კი ნატაშა გამოდის–თქვენი შეყვარებული!

ნატაშა

ასე გამოდის,რა იცით,რომ ერთმანეთი გვიყვარს?

ირაკლი

თქვენს თვალებში ამოვიკითხე! თვალებში ბევრი რამე წერია!

ალიონა

ჩემს თვალებში რა წერია, ხომ არ მეტყოდით?

ირაკლი (თვალებში ჩახედავს)

თქვენს თვალებში სიყვარულის მოლოდინი გარინდულა... მალე გრძნობების ქარბუქს უნდა ველოდეთ ...

ნატაშა

რა პოეტურად ლაპარაკობთ...მოდით გავსინჯოთ ეს ჭაჭა!

ირაკლი

მე მინდა,უფლის დიდების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ...

სტიოპა

ღმერთი არ არსებობს! დარვინმა დაამტკიცა...

ირაკლი

თუ არ არსებობს,ცოტა ხანში ნახავ...(ჭაჭას გადაჰკრავს,ჩხარტიშვილი "ბორჯომს" მიაშველებს) აბა, სტიოპა, გადაჰკარი! თქვენც,გოგონებო! (ყველანი სვამენ)

სტიოპა

ოო,რა მაგარია–ცეცხლია!

ირაკლი

"ბორჯომი" დააყოლე, სტიოპა,თორემ დრო მოვა–რუსეთში "ბორჯომს" ვეღარ დალევ!

ნატაშა

ვითომ რატომ?

ირაკლი

იმიტომ, რომ საქართველო დამოუკიდებელი გახდება,პუტინი გაბრაზდება და "ბორჯომის" რუსეთში შეტანას აკრძალავს!

ალიონა

კარგით,გეყოთ ასეთი ხუმრობა...ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს!გეტყობათ,რომ მსახიობი ხართ–კარგად თამაშობთ!

ირაკლი

მე მინდა ჯონ ლენონის სიმღერა "ვუმენ" მოგიძღვნათ თქვენ–მშვენიერ ქალბატონებს... (ირაკლი მღერის)

ალიონა

პირველად ვისმენ ამ სიმღერას, რა კარგია,შესანიშნავია...თქვენც რა ლამაზად მღერით!

ნატაშა

ალიონა! პრინცს რომ ელოდი შორი ქვენიდან...ასეთი იყო?

ალიონა

ჰო, ასეთი იყო! (კიდევ დაისხამს)

სტიოპა

კარგი,დაწყნარდი,ნუ გადარიეთ ეს უცხო კაცი!ბატონო ირაკლი,ამ სიმღერამ (რომელიც არც მე მომისმენია) მომანდომა ერთი სადღეგრძელოს წარმოთქმა...მოდით,სიყვარულს გაუმარჯოს,აი მე ჯარში მიწვევენ და ნატაშას ორი წლით უნდა დავშორდე...რაც ძალიან მაღელვებს:გავძლებ კი უმისოდ?

ირაკლი

ძალიან კარგი სადღეგრძელოა...ნატაშა, ხომ დაელოდები?

ნატაშა

რათქმა უნდა!სიყვარულს გაუმარჯოს!

ირაკლი

აი, ბატონი ვახტანგიც უერთდება ამ სადღეგრძელოს,მას ხომ მრავალი ბედნიერი წყვილი უნახავს აქ...(ალიონას ჩაულაპარაკებს)და კიდევაც ნახავს,არა?

ალიონა

ჰო,ნახავს,ნახავს,,,

ჩხარტიშვილი

ცხოვრების ეტლის სატარებელი...საცაა გავა მატარებელი...მიემგზავრება იმედი ჩემი,ბედის ვარსკვლავის სადარებელი...

ოლია ოკუჯავას მიუძღვნა ეს სიტყვები გალაკტიონმა...სიყვარულს გაუმარჯოს!

ირაკლი

ხომ ხედავთ,რა განათლებული გამცილებლები გვყავს ქართველებს?

სტიოპა

თქვენ ისე კარგად მღერით,რატომ არ გიცნობდით აქამდე?

ირაკლი

ჯერჯერობით...ჯერჯერობით არ მიცნობთ...შევეცდები თავი უკეთ დაგამახსოვროთ..,სტიოპა,თუ შეიძლება ტამბურში გამომყევით–სასაუბრო მაქვს თქვენთან...(ირაკლი და სტიოპა გადიან)

სტიოპა

გისმენთ,რაშია საქმე? ალიონა მოგეწონათ?

ირაკლი

ეგ თავისთავად,მაგრამ მე თქვენმა პრობლემამ ჩამაფიქრა...თქვენი და ნატაშასი...რა გიშლით ხელს,რომ დაქორწინდეთ?

სტიოპა

მშობლები მიშლიან...მაღალი წრის ხალხია,ნატაშა კი უბრალო მუშის შვილია...თან მამაჩემს უნდა,მასავით გენერალი გამოვიდე, მე კი არ მინდა–ჩემი გზა მინდა მქონდეს...

ირაკლი

თუ ნატაშა თანახმაა–მოაწერეთ ხელი და პრობლემაც მოგვარდება!

სტიოპა

კი,მაგრამ,სად წავიყვანო? მე ბინა არა მაქვს,ნატაშას მშობლები კი ისედაც ვიწროდ არიან...კიდევ ძმა ჰყავს სახლში...

ირაკლი

მე დაგეხმარებით! თქვენი მეჯვარე ვიქნები და კარგ ქორწილსაც გადაგიხდით!

სტიოპა

ხუმრობთ?

ირაკლი

სულ არ მეხუმრება.კარგი იდეა მაქვს...რა ღირს ახლა გარეუბანში კერძო სახლი?

სტიოპა

არ ვიცი. რაც არ უნდა ღირდეს–კაპიკი არა მაქვს!

ირაკლი

ფულს მე მოგცემ...იყიდე კერძო ბინა,ნატაშაზე დაქორწინდი და ჯარში არ წახვიდე!

სტიოპა

ეს როგორ?

ირაკლი

ქრთამს მისცემ და არ წაგიყვანენ,მექრთამეებით არის გატენილი კომისარიატები..მერე ბავშვი გეყოლებათ,ორი შვილის მამას კი აღარ გაგიწვევენ... (გაზეთის შეკვრას ამოიღებს) აი, შენ– ასი ათასი მანეთი,ჩათვალე,რომ ბავშვის ნათლიამ გაჩუქათ...ამ შეკვრაზე კი ჩემს სახელს და გვარს დავაწერ...იმედია–არ დაგავიწყდება!

სტიოპა (შეშფოთებით)

მე ამ საჩუქარს ვერ მივიღებ! რატომ აკეთებთ ამას? იქნებ, უცხო ქვეყნის აგენტი ხართ?

ირაკლი

დამშვიდდი, სტიოპა! უბრალოდ, საშუალება მაქვს და მინდა სიკეთე გაგიკეთოთ..თან,გამოგიტყდები,ძალიან მაინტერესებს– წარსულში დათესილი სიკეთე ნაყოფს თუ გამოიღებს...რაც შეეხება ჩემს აგენტობას–მე ხომ სანაცვლოდ არაფერს გთხოვ,იმის გარდა,რაც უკვე გითხარი...დილით პირველივე სადგურში ჩავალ და თბილისში დავბრუნდები.შენ მე ოცი წელი მაინც ვერ მნახავ,ჩათვალე,რომ ამ ფულს ჩემი ხელით ღმერთი გიგზავნის!

სტიოპა (აღელვებული)

გმადლობთ...არც კი ვიცი მადლობა როგორ გადაგიხადოთ!

ირაკლი

უბრალოდ დაიმახსოვრე:ირაკლი ჩიქოვანი–შენი და ნატაშას ბავშვის ნათლია! ეს ფული საიმედოდ გადამალე, არავის ანახო! ახლა კი დავბრუნდეთ,ალიონა შემიყვარდა მგონი...

სტიოპა

ნამდვილად საყვარელი გოგოა, აბა თქვენ იცით! (კუპეში ბრუნდე–ბიან)

ალიონა

სად დაიკარგეთ, ბიჭებო?

ირაკლი

ცოტა გავაბოლეთ...ჰოდა, რაზე შევჩერდით?

ნატაშა

სიყვარულზე!

ირაკლი

ჰოდა, ბატონო ვახტანგ, თქვენს წასვლას და ჩვენს დარჩენას გაუმარჯოს! (ვახტაგი გადის)

ნატაშა

მე მგონი, ძილის დროა....

ალიონა

მე ჯერ არ მეძინება....

ირაკლი

არც მე...წავიდეთ ჩემთან,კუპეში მარტო ვარ...

ალიონა

წავიდეთ,გიტარა არ დაგავიწყდეთ...(ირაკლი გიტარას იღებს და გადიან)

სტიოპა

ალიონას გაუმართლა:მაგარი კაცი დაითრია...ჩვენც გაგვიმართლა: ჩვენ მალე ხელს მოვაწერთ...(სტიოპა კოცნის ნატაშას...გამოსახულება ორმაგდება,ამოდის იმავე ზომის კადრი:ირაკლი კოცნის ალიონას)

ირაკლი

რამდენი წლის ხარ?

ალიონა

ოცის...

ირაკლი

ესე იგი, მართლაც ჩემს წარსულში ვმოგზაურობ....(ეროტიული სცენა)

55

2 0 1 1წ

ირაკლის სახლი.

თეა

სასწაულია!

ლადო

სად არის ეს კიბე? ერთი მეც წავალ....(კონიაკს დაისხამს)

თეა

თბილისში დაბრუნდით? რა გააკეთეთ მერე?

ირაკლი

მეორე დილით ისე დავტოვე ჩემი კუპე, რომ ალიონა არ გავაღვიძე.... დავბრუნდი თბილისში და დავრეკე ვაჟასთან,რომელსაც ვუთხარი,რომ პანკოვთან საქმე ჩაწყობილია და ჩემი ჩასვლა აღარ იყო საჭირო...

1 9 9 3 წ

ვაჟა

ირაკლი, მღუპავ? ფულს ვინ მომცემს?

ირაკლი

სტიოპა რომ მოვა–ჩემი სახელი უხსენე და..თვითონ მიხვდება ყველაფერს!

ვაჟა

ეგ როგორ?

ირაკლი

ნურაფრის გეშინია, თუ ამან არ გაჭრა,მე დამალაპარაკე და ფულს მივაწდი,ფული მაქვს.

მოსკოვური სარდაფი. ორშაბათი.

რეკეტიორი

ეი,გრუზინ,შენთან შეფი მოვიდა...აბა მოუყევი– რა მოამზადე...

(შემოდის პანკოვი)

ჰა,როგორაა საქმე?

ვაჟა

გამარჯობათ,იცით რა?

სტიოპა

ფული ვერ იშოვე, ხომ? ერთი ადგილით ჩამოგკიდებდი–ქართველი რომ არ იყო! ირაკლი ჩიქოვანის ხათრი არ მქონდეს–გაცეკვებდი ლეკურს...

ვაჟა

მე...გუშინ ველაპარაკე ირაკლის...ჩემი მეგობარია...ასე მითხრა– სტიოპას ჩემი სახელი უხსენეო...თქვენ მას იცნობთ?

სტიოპა (აღფრთოვანებით)

ჩემი ირაკლის მეგობარი ხარ? ჩემი და ნატაშას მხსნელის? ჩვენი შვილის ნათლიის? აქამდე ვერ თქვი?(გადაეხვევა)ირაკლის ხომ მაჩვენებ?

ვაჟა (გაოგნებული)

ახლავე დაგალაპარაკებ! (რეკეტიორი დისტანციურ ტელეფონს მიაწვდის. ვაჟა ნომერს აკრეფს) ირაკლი,პანკოვს ელაპარაკე!

სტიოპა

ალო,რომელი ხარ? ირაკლი?

ირაკლი

სტეფანს გაუმარჯოს,როგორა ხარ,ბიჭო?

სტიოპა

სალამი ნათლიას! ვერ წარმოიდგენ,როგორ მახარებს შენი ხმის გაგონება!მე და ნატაშკას შენი სიმღერა მოგვენატრა,სულ შენზე ვლაპარაკობთ–ირაკლი ახლა ასე იტყოდა, ასე გააკეთებდა...ხომ არ დაგვიბერდი ნათლი? ხომ ხარ ძველებურად?

ირაკლი

ყველაფერი კარგად არის! ესე იგი,ივარგე,არა?

სტიოპა

შენი რჩევები ხუთიანზე შევასრულე,სახლიც ვიყიდე,შვილებიც მყავს და გავლენიანი კაციც ვარ–იქეთ ვეხმარები ხალხს!

ირაკლი

ეგ ყველაფერი კარგი,მაგრამ ცოტა არ იყოს, ის არ მომწონს– რასაც აკეთებ!

სტიოპა

მე ბიზნესმენი კაცი ვარ,მატყუარებს ვერ ვიტან,რა ვქნა, ჩემო ირაკლი?ცოტათი შევაშინეთ,არა უშავს–მოუხდება!ამას მართლა ბანდიტი ვეგონე! ხომ კარგად მითამაშია ეს როლი?

ირაკლი

მაგას მართლაც მოუხდება! შენ და ვაჟა ერთად წამოდით,ერთი მაგარი ჭაჭა უნდა გახუხინო!

სტიოპა

აუცილებლად გეწვევით,როგორც კი მოვიცლი,ნატაშკასაც წამოვიყვან და ბავშვებსაც...

ირაკლი

ალიონა როგორ არის?

სტიოპა

კარგად,იშვიათად ვხვდებით–ლოთი ქმარი ჰყავს! ეგ ცოდვა, იცოდე შენს კისერზეა: გიცადა,გიცადა და რომ არ გამოჩნდი–გათხოვდა...

ირაკლი

სტიოპა, ხომ ყოფილა ღმერთი?

სტიოპა

დაილოცოს მისი დიდება! სულელი კომკავშირელი ბიჭი ვიყავი,მაპატიე!

ირაკლი (სიცილით)

კარგი,მიპატიებია!

1 9 5 3 წ

გალაკტიონის ბინის შესასვლელი.გალაკტიონი და კალმახელიძე.კარი ღიაა.

კალმახელიძე

ქურდები?

გალაკტიონი

არა მგონია–რა მაქვს გასაქურდი? აქ რაღაც სხვა ამბავია!(ოთახში შედიან.მაგიდასთან ორი ტყავისპალტოიანი ჩეკისტი ზის)

1 ჩეკისტი

ამხანაგო!(კალმახელიძეს მიმართავს) თქვენი გვარი?

კალმახელიძე

კალმახელიძე.

1ჩეკისტი

ამხანაგო ტაბიძევ,თქვენ აქ დაბრძანდით და საუბარში არ ჩაერიოთ–თქვენ ეს საქმე არ გეხებათ!

11 ჩეკისტი

თქვენი საბუთები!

კალმახელიძე (პირადობის მოწმობას გაუწოდებს)

ინებეთ,ბატონო!

11 ჩეკისტი (საბუთს ათვალიერებს)

ბატონყმობა გადავარდა...ეს რა არის,პასპორტი არ გაქვთ?

კალმახელიძე

პირადობის მოწმობაა,წაიკითხეთ...

1 ჩეკისტი (მოწმობას გამოსტაცებს,კითხულობს)

ნუგზარ კალმახელიძე.საქართველოს ტელევიზია.ტელეინჟინერი. ტელევიზია რა არის?

კალმახელიძე (სიცილით)

ისეთი რადიოა, ვინც ლაპარაკობს, ან მღერის, ყველა მოჩანს...

11 ჩეკისტი

ეგ კინოა! დაგვცინი? –ჩვენ არ გვეცინება! საბჭოთა პასპორტის მაგივრად ამ ქაღალდს რომ ატარებ, იცი, ეს რომელი მუხლია? 58–ე! სამშობლოს ღალატი!

1 ჩეკისტი (საქაღალდედან ფულს იღებს)

ეს რა არის?

კალმახელიძე

ფულია, რა უნდა იყოს?

11ჩეკისტი

კიდევ დაგვცინი? ყალბი ფულის ჭრა...ამხანაგ ლენინის საეჭვო პორტრეტით...შენ ხალხის მტერი ხარ!

გალაკტიონი

სად გინახავთ ასეთი ფული?

კალმახელიძე (ხმადაბლა)

ბიკენტიჩამ "ჩაგვიშვა",ეტყობა!

გალაკტიონი

ეგეც ბერიას ნასხლეტი ყოფილა!

1 ჩეკისტი

რას კადრულობთ,ამხანაგო ტაბიძევ?

კალმახელიძე (გაზეთს აწვდის ჩეკისტებს)

ეს წაიკითხეთ, თქვე საცოდავებო!

ჩეკისტები (კითხულობენ ერთ ხმაში)

დაპატიმრებულ იქნა ხალხის მტერი და იმპერიალიზმის აგენტი ლავრენტი..(1ჩკისტი)ეს გაზეთიც ისეთივე დივერსიაა,როგორც ეს ფული და ეს საბუთი! დაგხვრეტ ადგილზე!(ხელს იარაღისკენ წაიღებს)

კალმახელიძე

შეშინდით,თქვე საცოდავებო?

გალაკტიონი

ვერ გაძეხით, ხომ,სისხლით?

კალმახელიძე

რომელი საათია ახლა?

1ჩეკისტი

დილის ექვსი საათია,მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

კალმახელიძე
გალაკტიონ, უკვე 6 ივნისია,ჩართე რადიო!

(გალაკტიონი რადიოს რთავს)

დიქტორი
ლაპარაკობს თბილისი! თბილისის დროით ექვსი საათია.მოისმინეთ საკდესის ინფორმაცია.
გალაკტიონი

ძიგუაა! ისე ლაპარაკობს–გეგონება ომი დაიწყო!

დიქტორი
დაპატიმრებულ იქნა ხალხის მტერი და იმპერიალიზმის აგენტი ლავრენტი ბერია.

კალმახელიძე

გაიგეთ, თქვე ბეჩავებო? ახლავე მოუსვით აქედან,დროზე აგინეთ ბერია–სხვამ რომ არ დაგასწროთ,ეგება სამსახურიდან არ გამოპანღურონ!

გალაკტიონი (ღიმილით)

ვითომ ეშველებათ ამათ რამე?

კალმახელიძე
არა გალაკტიონ, ამათ აღარაფერი ეშველებათ!

2 0 1 1 წ

ირაკლის სახლი.

თეა
ბატონო ირაკლი, იცით რა მაინტერესებს?

ირაკლი
თეა, არც ისეთი მოხუცი ვარ,თქვენობით რომ მომმართო...ირაკლი დამიძახე! დღეს ამით მოვრჩეთ და სადმე რესტორანში წავიდეთ–მე გეპატიჟებით!ბიჭებო,შეგიძლიათ მეგობარი გოგონები წამოიყვანოთ...

თეა
კარგი...ირაკლი.ერთიც მიპასუხეთ და წავიდეთ.ჩხარტიშვილს თუ შეხვდით?

ირაკლი

კი. მე თვითონ ავაკითხე სახლში...

1 9 9 3 წ

ჩხარტიშვილის ბინის აივანი.

ჩხარტიშვილი

რა ჰქენი ირაკლი, გადაახურდავე ჩემი ფული?

ირაკლი

აი ამ საბუთით,ზუსტად ოცი წლის წინ, თქვენ თვითონ განაცხადეთ თქვენს ფულზე უარი!

ჩხარტიშვილი

დავიღუპე!რატომ გამიკეთე ეს? რატომ დამაქციე?

ირაკლი

გაგეხუმრეთ!ისევე გაგეხუმრეთ,როგორც თავად დრო ეხუმრება ადამიანს!
ნახევარი ხომ მე მეკუთვნოდა?

ჩხარტიშვილი

ჰო...შენ და იმ ბანკირს!მაგრამ ჩემი მეორე ნახევარი სად არის?

ირაკლი

მეორე ნახევარი ჯერ არ გადამიხურდავებია...კარგ რამეს გეტყვი: ფული ყოველდღიურად უფასურდება,მოგცემ შენს ხუთასითასს, ისევ იმ კუპიურებით და გაგიშვებ წარსულში–შენს ახალგაზრდობაში და იცხოვრე არხეინად!

ჩხარტიშვილი

შენც კალმახელიძის ჭკუაზე გადახვედი?

ირაკლი

მე საერთოდ ჭკუიდან გადავედი...კარგი,რადგან არ გაწყობს–მოგიხერხებ რაღაცას...არ ინერვიულო,ცოტა ხანში დაგიბრუნებ შენს წილს– ახალი კუპიურებით! ისე კი,ჩვენში დარჩეს,პლანი და წამალი რომ დაგქონდა იქეთ– აქეთ, კარგად ვიცი ეს ამბავი!

ჩხარტიშვილი

საიდან დაასკვენი?

ირაკლი

მაშინ პატიოსანი კაცი მილიონს ვერ იშოვიდა..თანაც მატარებლის გამცილებელი!

ჩხარტიშვილი

ახლა? ახლა თუ იშოვის პატიოსანი კაცი მილიონს?

ირაკლი

ეგ არ ვიცი! მოკლედ,მალე შეგეხმიანები,მომავალ შეხვედრამდე!

2 0 1 1 წ

თბილისური რესტორანი. ირაკლი,თეა,ლადო და ვატო გოგონების თანხლებით.

ირაკლი

მოდით,რიგრიგობით ვითამადოთ, პირველ სადღეგრძელოს მე ვიტყვი: ჩვენს შეზვედრას გაუმარჯოს სივრცისა და დროის გადაკვეთის ამ წერტილში....

1გოგონა (ლადოს)

ვინ არის ეს კაცი–ფილოსოფოსია?

ლადო

უარესი...დროში მოზაურობს....

!გოგონა

ეტყობა რო დალევს...თუმცა, მეც რას არ ვაკეთებ რომ დავლევ...

თეა

ირაკლი,ჩხარტიშვილის ვალი კიდევ გაქვს?

ირაკლი

არა,კარგი ბრილიანტის ბეჭდები ჩამოვუტანე იქედან...

11გოგონა

საზღვარგარეთ იყავით?

ვატო

ახლა ვერ გაიგებ,მერე მოგიყვები...წამოდი, ვიცეკვოთ...

ლადო

ჩვენც ხომ არ გვეცეკვა? (საცეკვაო ადგილს მიაშურებენ)

ირაკლი

რა მალე გარბის დრო...ეს გოგონა ჩემი ძმაკაცის ქალიშვილია,ერთი წლის წინ ვნახე,სულ პატარა ბავშვი იყო...

თეა

პირადი ფსიქიატრი თუ გყავს?

ირაკლი

ჩემი ფსიქიატრი ეს კონიაკია...დარდი შემომაწვება–დავლევ,სიხარული–დავლევ,ძმაკაცს ვნახავ–დავლევ,კაი გოგოს–დავლევ!–მშველის!ფსიქიატრი კი მეტყვის– არ დალიო!

თეა

მაინც როგორ გამდიდრდი?

ირაკლი(სიცილით)

–" ვაგროვებდი"!...ერთხელ ძველი გაზეთი "თბილისი'" ჩამივარდა ხელთ,ერთმა განცხადებამ დამაინტერესა:გუშინ დააპატიმრეს აბრეშუმის ფაბრიკის ბურალტერი ესა და ეს,მას 40 კგ ოქროულობა აღმოაჩნდა გადამალული. ავიღე ეს გაზეთი და მივადექი იმ კაცს,სტატია წავაკითხე და გასამრჯელოც მივიღე:20კგ ოქრო, ის კაციც ბედნიერი დარჩა და...მეც!

თეა

მეც ხომ არ მიმასწავლით "კუდიგორის გზას?'

ირაკლი (კონიაკს უსხამს)

გეტყოდი,"რატომ ვერ დაო"– მეთქი,მაგრამ შენ ამას ვერ გადაიტან,ამდენ სტრესს... და ვერც ამდენს დალევ...აქ არ გყავარ? მითხარი რაც გინდა და შეგისრულებ!

თეა

ჩემს ბავშვობაში მინდა გასეირნება!

ირაკლი

სიამოვნებით! 1983 გაწყობს ?

თეა

მაწყობს! ამათ რა ვუყოთ?

ირაკლი

ფულს გადავუხდი და იქეიფონ, რამდენიც უნდათ...მეგობარო!

ოფიციანტი

დიახ, გისმენთ.

ირაკლი

ჩვენი მაგიდის გამომართვი,მეგობრებს ჩემგან ბოდიში მოუხადე, თუ ვერ დავბრუნდით...(რესტორნიდან გამოდიან ,მანქანაში სხდებიან და ცირკს მიაშურებენ. ფრთხილად ჩადიან ხის კიბეზე,თეა შიშით რამდენჯერმე შეჰკივლებს...დგებიან მეცხრე საფეხურზე და რამდენიმე წამში უჩინარდებიან...)

1 9 8 3 წ

ღამის თბილისის ხედი.ანდროპოვის სურათი,ისმის სიმღერა"თუკი გესიზმრები"ირაკლი აჩერებს ტაქსს,სეირნობენ ქალაქის ქუჩებში..

თეა

მართლაც სიზმარში მგონია თავი..ხომ სიზმარში ვართ? (აკოცებს ირაკლის) ცხადში არ

გაკოცებდი...სიზმარში მოსულა..

ირაკლი

გარიკ,შენა ხარ, ჯიგარო? რა გამახარე ბიჭო?გაჭაღარავებულხარ!

გარიკა

როგორა ხარ, ძმაო?მთელი დღე ხელისგული მეფხანებოდა...მერე იტყვიან– ცრურწმენაო...

ირაკლი

მახუჭუჭებ ,არა, შე ყურუმსაღო?

თეა

ეგ რას ნიშნავს?

გარიკა

ძველი თბილისური სიტყვაა,ზნაჩიტ–სომხური!

ირაკლი

გაჩუმდი თორემ,ორ მანეთს მოგცემ!

გარიკა

გეხუმრე იკა–ჯან– ძველი ქართული სიტყვაა!

თეა (სიცილით)

ეს რა მაგარი ტიპია!

გარიკა

ჰა,საით წავიდეთ, მითხარი...(ფილარმონიასთან ჩაუხვევენ.ანსამბლ "75"–ის რეკლამა გამოჩნდება)

ირაკლი

გინდა ბესო კალანდაძეს ინტერვიუ ჩამოართვა?

თეა

ჩამოვართვი ამას წინათ...

ირაკლი

ეგ სულ სხვაა, ფანი გოგონების რიგში უნდა ჩაგაყენო,...თანაც– იქ კაფეა, ძველ ხალხს ვნახავთ:გაგისწორდება!

თეა

ესე იგი,წარსულში გადასული პირველი ქალი ვარ?

ირაკლი

საერთიოდ პირველი ქალი ხარ,ჩემო სიცოცხლე...

თეა

ოო,ეგეთები არ იყოს..ალიონაში არ შეგეშალო...წავიდეთ,უკან...

ირაკლი

კონცერტს დავესწროთ და წავიდეთ...გარიკ აჰა,შენი ასი მანეთი...

გარიკა

73–შიც ასი მანეთი,83–შიც ასი მანეთი?2003–შიც 100 მანეთი უნდა მამცე კაცო?

ირაკლი

2003–ში ლარებს მოგცემ–თუ ჭკუით იქნები!

(ირაკლი გადამყიდველიდან იღებს ბილეთებს,დარბაზში სხდებიან და იწყება "75"–ის კონცერტი)

თეა

რა ბედნიერი ვარ...მაგარ სტატიას გავაკეთებ,გადავრევ ხალხს!

2 0 1 1წ

ირაკლის სახლი.

ირაკლი

ერთხელ,კალმახელიძემ მითხრა,წადი გალაკტიონს შეხვდი და მასთან დალიეო,მხოლოდ გალაკტიონს ხვდებოდა წარსულში–სხვა არაფერი აინტერესებდა,მე კი ისე ჩავეფლე ამ პრობლემებში,ამ ხეტიალმა "ბითლზებთან" ამომაყოფინა თავი!

თეა

აი ჩვენს მთავარ თემას მივუახლოვდით...ერთი სული აქვს რედაქტორს –როდის წაიკითხავს ამ მასალას...

ირაკლი

ერთხელაც,მოუხერხებლად,ცალი ფეხით დავდექი მეცხრე საფეხურზე და 1964–ში აღმოვჩნდი! უკან დავბრუნება ვეღარ მოვახერხე,გზა ჩაიკეტა– ,თურმე ცოტა ხნით...

ისეთი განცდა დამეუფლა,თითქოს სხვა ქვეყანაში მოვხვდი,დავდიოდი თბილისის ქუჩებში და ერთი ნაცნობიც არ შემხვედრია,თუ არ ჩავთვლით რუსთაველის თეატრის წინ მდგარ მსახიობებს,რომელთაც ყველა იცნობს ფილმებით...ქაშუეთის პირდაპირ პატარა სახინკლეში შევედი...იცით, ვინ დავინახე?

ლადო

მანდ მსახიობები დადიოდნენ...

ირაკლი

ახალგაზრდა ნოდარ დუმბაძე–მეგობრებთან ერთად...კონიაკი ავიღე და მათ მაგიდას მივუახლოვდი"მინდა ჩემი აღტაცება გამოვხატო დიდი ქართველი მწერლის მიმართ მეთქი" ჭიქები შევავსე...

1 9 6 4 წ

თბილისი.სახინკლე.

ნოდარ დუმბაძე

ეს ნამეტანია,ძამა! პოპულარული მწერლის სახელი კი მაქვს...

ტარიელ ჭანტურია

ნუ თავმდაბლობ,ნოდარ, ხომ ხედავ,კაცს ესმის საკითხი!

ირაკლი

თქვენი ხუთივე რომანი თითქმის ზეპირად ვიცი...გენიალური მოთხრობები:"დიდრო","მზე","ძაღლი"...რომელი ერთი ჩმოვთვალო? მოდი, ,თქვენს ნიჭს გაუმარჯოს ბატონო ნოდარ,ბატონო ტარიელ...

ნოდარ დუმბაძე

მე, ჯერჯერობით ხუთი რომანი არ მაქვს...არც ეგ მოთხრობები...რაღაც გეშლებათ...

ირაკლი

ბატონო ტარიელ, ეს ლექსი უკვე შექმენით?"ცისფერი კაფე,ჰალი–გალი.ბიჭი და ბიჭი, ქალი,ქალი...კონიაკს დალევ?–მანგოს წვენს,გინდა გაკოცო?–მე არა,მაშინ მე ორჯერ გაკოცებ!" ბატონო ნოდარ,ახლა "მზიან ღამეზე" უნდა მუშაობდეთ...

ნოდარ დუმბაძე

ესეთები საიდან იცით?

ირაკლი

კიდევ ბევრი რამ ვიცი...უკაცრავად,ეს ახალგაზრდა მეცნობა რაღაც,ვინ არის?

ტარიელ ჭანტურია

ეს კვარტეტ "ორერას" წევრია :რობერტ ბარძიმაშვილი.

ირაკლი

ბატონებო,ნება მიბოძეთ,დაგტოვოთ,თქვენი სუფრა გადახდილია!(ირაკლი მეორე მაგიდასთან გადაინაცვლებს)გამარჯობა,მეგობრებო."ორერა", არა?

"ორერას"წევრები

დიახ,გახლავართ!

ირაკლი

კომპოზიტორი ირაკლი ჩიქოვანი! მე მინდა ჩემი სიმღერები მოგასმენინოთ...

რობერტი

თქვენი გვარი არ გამიგია...კვარტეტისთვის წერთ?

ირაკლი

ჩემი სიმღერები თქვენთვისაა ზედგამოჭრილი..ისეთ რამეებს გიჩვენებთ–მთელი საბჭოთა კავშირი შეგიყვარებთ!როდის შეიძლება თქვენს რეპეტიციაზე მოსვლა?

რობერტი

ხვალ, ხუთ საათზე!"არტოს" ბაღში.

მეორე დღე. სარეპეტიციო დარბაზი.
ირაკლი დარბაზში შედის.

თემურ დავითაია

მობრძანდით,მობრძანდით...რობერტი წუთი–წუთზე მოვა...სად დაამთავრეთ კონსერვატორია?

ირაკლი (ყოყმანით)
ტექნიკუმი დავამთავრე...ლენინგრადში.

დავითაია

ოო,ეს პრობლემაა! თუ კონსერვატორია არ გაქვთ დამთავრებული–სიმღერის სცენაზე გატანა დიდი პრობლემაა–სამხატვრო საბჭო "გაახურებს".ცალკე– კომპოზიტორთა კავშირი,ცალკე–ლიტფონდი,ცენზურა და ბოლოს, რადიო–ტელევიზია!

ირაკლი

ეს რა უბედურებაა? ჩვენთან–ვისაც არ ეზარება–ყველა მღერის...რასაც უნდათ იმას მღერიან...

დავითაია

სად თქვენთან,ლენინგრადში? იქ უარესია!ჩვენთან კიდე გააძვრენ რამეს–რობერტი " მოაკვარახჭინებს",თუ მოეწონა,იქ–ვერა!

(შემოდის რობერტი)

რობერტი

უკაცრავად,მცირე დაგვიანებისთვის,სხვებს ვუშლი და მე მომივიდა... აბა,მოგვასმენინეთ თქვენი ნაქები სიმღერები!

(ირაკლი იღებს გიტარას და მღერის)

ქუჩა–ქუჩა ალუბლებს,ქარი თეთრად პენტავს,მეგობარო ამ გულს თუ ვერ გაუგებ–ვის გაუგებ,ნეტავ?

"ორერას" წევრები

ძალიან ლამაზია,ძალიან კარგია...კიდევ გვიმღერეთ რამე!

რობერტი

კარგი აზრი დამებადა: მოდით,ჩვენთან დაიწყეთ, მუშაობა,ჩვენი წევრი გახდით...კარგად უკრავთ,მე ვაპირებ ვოკალურ–ინსტუმენტალურ ჯგუფად გადავკეთდეთ,ანუ:თან დავუკრავთ–თან ვიმღერებთ...

ირაკლი

მე– "ორერას"წევრი? ეს ხომ ბედნიერებაა,მთელ მსოფლიოს მოვივლი!

რობერტი

მალე ლონდონში მივდივართ,გაზეთ "მორნინგ სთარის" იუბილეზე... პასპორტი თან გაქვთ?

ირაკლი

არა, დავკარგე...

2 0 1 1 წ

ირაკლის სახლი.

ირაკლი

რობერტს განმარტოებით ყველაფერი ვუამბე,რათა ამეხსნა,თუ რატომ არ მქონდა პასპორტი...კაფე 'მეტროში" ვიჯექით და ვსაუბრობდით,ოფიციანტი ვიცანი:ჯუნა დავითაშვილი! მსოფლიო დონის ექსტრასენსი–მაშინ ოფიციანტი იყო...რობერტი პირველად დაფრთხა,–გიჟი ვეგონე,მერე გამახსენდა,რომ იმ წელს, ჩემპიონები გავხდით...იმ დღესაც თამაში იყო:თბილისის "დინამო", მოსკოვის "დინამოს" ხვდებოდა,კარგად მახსოვდა ეს თამაში: 0:0 დამთავრდა...

1 9 64 წ

ირაკლი და რობერტი კაფე"მეტრო"–ში

ირაკლი

აი ნახავ,თუ დღეს 0:0 არ იქნება,მეტსაც გეტყვი:წელს ჩემპიონები ვართ!

რობერტი

არ მჯერა ,როგორც ყოველთვის დაგვჩაგრავენ!

ირაკლი

ერთნაირი ქულები გვექნება მოსკოვის "ტორპედოსთან",დამატებით მატჩში კი, რომელიც 18 ნოემბერს ტაშკენტში გაიმართება,4:1 –მოვიგებთ!

აი,თემურიც მოვიდა,ფეხბურთზე იყო,ვკითხოთ,როგორ დამთავრდა მატჩი...(დავითაია მაგიდასთან მიდის)

რობერტი

თემურ,როგორი ანგარიშით დამთავრდა თამაში?

დავითაია

ფრე :ნოლით–ნოლი,მესხმა ცარიელ კარს ააცილა,ორი სანტიმეტრით...

ირაკლი(სიცილით)

ახლა რას იტყვი?" არის ასრულდა ოცნება"...ამასაც მალე იმღერებთ!

2 0 1 1წ

ირაკლის სახლი.

ირაკლი

მოკლედ,დამიჯერა...პასპორტიც ამაღებინა უპრობლემოდ (ყველგან დიდ პატივს სცემდნენ) და გავფრინდით ლონდონში ,თან ,"ბითლზების" საუკეთესო სიმღერები მქონდა, (ჯიბეში აღმოვაჩინე) . ვიცოდი,რომ "ორერას" და "ბითლზის" დაგეგმილი შეხვედრა არ შედგა..ამ უკანასკნელის კინოგადაღების გამო,მე კი გადავწყვიტე–ჩემი მცდელობის შედეგად, ეს შეხვედრა შემდგარიყო... ხომ მაგარი პროექტია?

თეა

გენიალური სათაური მოვიფიქრე:"მომავლის კორექცია–წარსულის მეშვეობით!"

ირაკლი

მშვენიერია!...

1 9 6 4 წ

ლონდონი.კონცერტისათვის მზადება.

მენეჯერი

სამწუხაროდ,დღეს "ბითლზები" არ მოვლენ,კინოგადაღება აქვთ!

ირაკლი (რობერტს)

ასეც ვიცოდი! ხომ გეუბნებოდი?

რობერტი

არა უშავს,ჩვენ მათ სიმღერებსაც ვიმღერებთ...

მენეჯერი

ეს ძალიან ძვირი დაგვიჯდება...საავტორო უფლებებს ვერ დავარღვევთ!

ირაკლი

მე, ისეთი სიმღერები ვიცი მაგათი–,ჯერ თავში რომ არ მოსვლიათ...
სერ,აი,ეს კასეტა უნდა გადასცეთ ჯონს და უთხრათ, რომ მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს... 72

მენეჯერი

არა მგონია, ამ კასეტას მოუსმინოს,დღეში ათასობით კასეტა მისდით...

ირაკლი

ხომ გინდათ რომ აქ მოვიდნენ?

მენეჯერი

ძალიან მინდა!–ისინი ხომ მუშათა ოჯახებიდან არიან:ჩვენი ხალხია!

ირაკლი

ჰოდა, აიძულეთ,ერთი წუთი მაინც მოისმინოს!,დამიჯერეთ,როგორც კი მოისმენს–აქ გაჩნდება!

მენეჯერი

ო,ქეი! მე თვითონ წავუღებ ამ კასეტას, იქნებ, მართლა წამოვიდნენ?

რობერტი

რამ გააგიჟა ამ კვარტეტზე ეს ხალხი?ერთ ხმაში მღერიან! სულ პატარა ტერცია და სეკუნდა შეიძლება?

ირაკლი

მაგაშია მთელი "კაიფი"!

დავითაია

ეგ სიტყვა რას ნიშნავს?

ირაკლი

მაგაშია მთელი ეშხი,ბიჭებო,მთელი ეშხი!

* * *

2 0 1 1წ

ირაკლის სახლი,

თეა

როგორც ვხვდები,მოისმინა ჯონმა ის კასეტა და მოვიდნენ..ასე არ არის?

ირაკლი

ჯონი მოვიდა მარტო..ჩემს სანახავად მოვიდა...

1 9 6 4 წ

ჯონ ლენონი დარბაზში შემოვა.მენეჯერი ბიჭებს გააცნობს.

ჯონ ლენონი

საიდან გაქვთ ეს კასეტა?

ირაკლი

ჯონ,ყურადღებით მისმინე,როგორც მიხვდი–ეს თქვენი სიმღერებია,რამდენიმე ხნის შემდეგ ჩაწერილი...ეს არის დასტური იმისა,რომ რსაც გეტყვი–სრული სიმართლეა!

ჯონ ლენონი

ყურადღებით გისმენ!

ირაკლი

მე მომავლიდან ვარ,იქ შევიძინე ეს სიმღერები..მეტიც– ყველა თქვენი სიმღერა ვიცი:მომღერალი ვარ...

ჯონ ლენონი

ესე იგი, დროში მოგზაურობა შესაძლებელია?

ირაკლი

ჰო. ჯონ, მომისმინე! 1980 წლის 8 დეკემბერს,შენი სახლის სადარბაზოსთან ნიუ– იორკში...

ჯონ ლენონი

რა მინდა ნიუ– იორკში?

ირაკლი

არ ვიცი–მოგინდება...სადარბაზოსთან დაგხვდება მარკ ჩეპმენი...

ჯონ ლენონი

მომკლავს?

ირაკლი

ჰო!

ჯონ ლენონი

კიდევ რა იცი,სტუმარო მომავლიდან?

ირაკლი

ამაზე მნიშვნელოვანი ბევრი არაფერი:"ბითლზი"დაიშლება...საბჭოთა კავშირიც დაიშლება...

ჯონ ლენონი

თუ ეს ყველაფერი მართალია–საჭირო კაცი ყოფილხარ:დარჩი ჩვენთან კონსულტანტად,მრჩეველი იქნები!დანარჩენზე მერე ვილაპარაკოდ!

რობერტი

მართლა არ დარჩე ირაკლი,გაგვასახლებენ, ხომ იცი?

ირაკლი

ჯონ,მე ვიღებ შენს წინადადებას! რამდენიმე ხნით დავრჩები!

ჯონ ლენონი

ახლა კი– სიამოვნებით მოგისმენთ! ('"ორერა"..' მღერის)

2 0 1 1 წ

ირაკლის სახლი.

ასე გავხდი მათი კონსულტანტი...უბედნიერესი დღეები იყო..

თეა

მხოლოდ დღეები?

ირაკლი

. ჰო...იცით,როგორ დავბრუნდი მომავალში?...უკვე ზამთარი იყო, თოვდა.ფურგონით სადღაც მივემგზავრებოდით...ვიგრძენი,რომ ძალიან გადავიღალე,თბილისი,სახლი მომენატრა...ისინიც გადაიღალნენ,ხმას არავინ იღებდა..უცებ ცირკის შენობა დავინახე,რომლის თავზე უცნაური ციალი შევამჩნიე..."გააჩერე"–ვუთხარი მძღოლს,მანქანიდან გადმოვედი...

ბიჭები ფურგონის ფანჯრიდან მითვალთვალებდნენ,ცირკის კიბეებს მაღლა ავუყევი და

მეცხრე საფეხურზე შევჩერდი...ცოტა ხანში უკან მოვიხედე და..ფურგონი გაქრა–აღარსად იყო! ვიღაც წვერმოშვებული კაცი დავინახე,ალბათ ჰიპი იყო..,პირველი რაც მაინტერესებდა,ის ვკითხე:ლე–
ნონი მოკვდა? მან დაუფიქრებლად მიპასუხა: ლენონი უკვდავია!

თეა

რა ზუსტი პასუხია!

ირაკლი

აი, აქ თავდება ჩემი ისტორიის თქვენთვის საინტერესო ნაწილი...

ლადო

კიდევ გვიამბეთ, რა?

ირაკლი

ჯერ ეს დაბეჭდეთ და მკითხველს თუ მოეწონა–გაგრძელება იქნება!

თეა (მოწყენით)

კარგი...რა გაეწყობა..,გაურკვეველი პასუხია,მაგრამ...

ირაკლი (თეას ჩასჩურჩულებს)

პირადად ჩვენ რაც გვეხება–გაგრძელება ნამდვილად იქნება!

დასასრული

2011 6აპრილი.